# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 11 აპრილი 2008 №081 (3305) ფასი 50 თეთრი


# ქართულ-რუსული ურთიერთობები დათბა, ციმბირი ჩვენი მეგობარია

ევროპის ერთა თასი

## რუსეთი — საქართველო

12 აპრილი. კრასნოიარსკი. 11 საათი

**უცნაურია, მაგრამ ფაქტია: დღეს კრასნოიარსკელი რაგბის ქომაგები ქუჩაში გვაჩერებდნენ, გვამხნევებდნენ და წარმატებას გვისურვებდნენ — ეს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ გუშინ გვიან ღამით გვითხრა, როცა ციმბირში ჩვენები „ლელოების“ უახლესი ამბების გასაგებად დავუკავშირდით. რა გამეორება უნდა, მაგრამ მაინც: თუ ხვალ საქართველოს ნაკრები რუსეთს მოუგებს, ევროპის ერთა თასის მფლობელი გახდება.**



**— საქართველოს რატომ ქომაგობენ, თავისიანები არ უყვართ?**

—ვერ ვიტყვი, რომ თავისიანები არ უყვართ, ან მათი მოგება არ გაუხარდებათ. უბრალოდ, ამას თავისი მიზეზი აქვს. საქმე ის არის, რომ წლების მანძილზე რუსული რაგბის ცენტრი კრასნოიარკში იყო. ბოლო ოთხი წელია, რუსეთის რაგბის კავშირს ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს და ცენტრი მოსკოვში გადავიდა. ეს კი აქაურებს არ ესიამოვნათ და, ცოტა არ იყოს, დაბოღმილები არიან. ისე, აქ ქართულ რაგბის აფასებენ, ქუჩაში გვცნობენ და აქეთურ-იქეთურზე გვეკითხებიან.

**— ესე იგი, ადრინდელივით პრობლემები არ გაქვთ და ნორმალურად გმასპინძლობენ?**

— დიახ, რატი ურუშაძის კლუბ „ენისეის“ ხელმძღვანელობა თან გვყვება. რაც შეუძლიათ, ყველაფერს გვიკეთებენ. ავტობუსი კრასნოიარსკში მცხოვრებმა, ჭიდაობის ცნობილმა მწვრთნელმა დიმიტრი მინდიაშვილმა გამოგვიყო. მან დღეს ვახშამზეც დაგვპატიჟა. ეს ჩვენთვის დიდი პატივია, რადგან მას ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები გაუზრდია და ძალიან კარგი პიროვნებაა. როგორც დიმიტრი მინდიაშვილმა გვითხრა, ქართველები კრასნოიარსკში და მის შემოგარენშიც ცხოვრობენ და მატჩზე 40-50 კაცი საქომაგოდ აუცილებლად მოვა.

**— მატჩამდე ცოტა დროღა რჩება და გუნდში ალბათ საბრძოლო მუხტიც მატულობს...**

— რა თქმა უნდა, ასეა. ბიჭები ამბობენ, 24 საათი ტყუილად ხომ არ გვიფრენია, აუცილებლად უნდა მოვიგოთო. ვარჯიშები ნორმალურად ტარდება. მწვრთნელებიც კმაყოფილები არიან. ერთადერთი პრობლემა გიორგი შკინინის ტრავმაა. ხვალ უკვე ზუსტი პასუხი გვეცოდინება. თუ გოშა შეძლებს, ძირითად შემადგენლობაში დაიწყებს თამაშს. თუ არადა, შესაძლოა, საერთოდ ვერ ითამაშოს. და კიდევ, დღეს, როგორც იქნა, გამოიდარა, რაც ჩვენ გვაძლევს ხელს, რადგან მოედანიც კარგ მდგომარეობაში იქნება და გაშლილი, კომბინაციური თამაში გამოგვივა.

**ბაჩო სვანიძე**

# ნტვ-ფუტბოლი სტუმრად სარბიელში

## კიდევ რაში არ ვგავართ ქართველები რუსებს: იქ ფედერაციას სპონსორების რიგი უდგას



## მიხაილ მელნიკოვი: საქართველოს ნაკრებს მკაცრი ხელი სჭირდება




# ქირავდება

საოფისე ფართები რუსთაველზე

I ბინა 86 მ² - 800$+მოსაკრებლები. კოსტავას 6

II ბინა 99 მ² - 900$+მოსაკრებლები. კოსტავას 6

საოფისე ფართი თავისუფლების მოედანთან

75 მ² (ევრო რემონტით) - 800$ +მოსაკრებლები. პუშკინის 6

მობ: 895-22-91-22

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბარსასთან კობით უკეთესი იქნებოდა

## რამდენს იტყვის ლევანის კუნთი?



**გელზენკირხენის** „შალკეს" გენერალურმა მენეჯერმა ანდრეას მიულერმა ესპანურ „ბარსელონასთან" გუშინწინდელი წაგების მერე ლევან კობიაშვილის ტრავმაზე დაიჩივლა — ჩვენიანი ხომ 32-ე წუთზე კუნთის ტკივილის გამო შეცვალეს.

ადვილი შესამჩნევი იყო, რომ „ხუმარებმა" „კამპ ნოუზე" საუკეთესო თამაში სწორედ საწყის ნახევარ საათში აჩვენეს, კობიც აქტიური გახლდათ, როგორც ართმევაზე, ისე შეტევაში.

„თავიდან ძალიან კარგად გამოვიყურებოდით, „ბარსელონასთან" სათამაშო უპირატესობის მოპოვება ძნელი საქმეა, მაგრამ ჩვენ ეს შევძელით. კარგი იქნებოდა, გოლი გაგვეტანა, მერე სულ სხვა თამაში წავიდოდა, მაგრამ უიღბლობასთან ერთად, საკადრო პრობლემებმაც იჩინა თავი. კობიაშვილის დაშავებამ ცუდად იმოქმედა" — თქვა მიულერმა.

საბედნიეროდ, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს საგანგაშო ტრავმა არ აქვს მალე ჩადგება მწყობრში. ეგაა, შესაძლოა, 12 აპრილს ბუნდესლიგაში „ვერდერთან" სტუმრად ვერ ითამაშოს.

**ილია ნანობაშვილი**

# დავით სირაძე ფანებმა აღიარეს

**რუსული** პრემიერლიგის წინა ტურში ნალჩიკის „სპარტაკმა" სტუმრად 0:2 დათმო მოსკოვის „დინამოსთან", ყაბარდოული კლუბის გულშემატკივრებმა კი თავისიანთა საამმატჩო საუკეთესო ფეხბურთელად სირაძე დაასახელეს — ქართველმა თავდამსხმელმა ფანების გამოკითხვაში ხმების 20 პროცენტი მიიღო.

რაც შეეხება ნალჩიკელთა დანარჩენ ორ ქართველს: გოგიტა გოგუამ 12,8 პროცენტს უწია, ალექსანდრე ამისულაშვილმა კი ერთი პროცენტიც ვერ მოაგროვა...

**ილია ნანობაშვილი**

## უეფას თასი 2007-2008

### მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. წუხელ

**ზენიტი (რუსეთი) 0:1 ლევერკუზენი (გერმანია) (4:1)**
0:1 ბულიკინი (18)

**ხეტაფე (ესპანეთი) 3:3დ.დ.(1:1) ბაიერნი (გერმანია) (1:1)**
1:0 კონტრა (44), 1:1 რიბერი (89), 2:1 კასკერო (91), 3:1 ბრაულიო (93), 3:2, 3:3 ტონი (115, 120)

**პსვ (ჰოლანდია) 0:2 ფიორენტინა (იტალია) (1:1)**
0:1, 0:2 მუტუ (38, 53)

**სპორტინგი (პორტუგალია) 0:2 რეინჯერსი (შოტლანდია) (0:0)**
0:1 დარშევილი (60), 0:2 ვაიტაკერი (90)

## ინგლისი

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩი

**ჰალიფაქსი 1:0 ებსფლიტი**

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
XXXII ტური

**მონპელიე 2:1 ბასტია**

## შვედეთი

ალსვენსკა
III ტური

**აიკ 1:0 სუნდსვალი**

**გაის 2:0 ჰამარბი**

**ლიუნგსკილე 0:2 ჰელსინგბორგი**

**მალმიო 1:1 ელფსბორგი**

**იორებრო 0:1 კალმარი**



# ვის რას უქადის დინამო — ამერი

**სეზონის** დასრულებამდე ჩემპიონატის ექვსი ტური და სამიც სათასო მატჩი დარჩა. ჯამში 45 მატჩი გამოდის.

ისიც მოგეხსენებათ, საქართველოში მოულოდნელი შედეგებით თამაშები იშვიათად რომ მთავრდება ხოლმე და აქედან გამომდინარე, რამდენიმე მატჩილაა დარჩენილი, რომელთა შედეგებზეა დამოკიდებული ქვეყნის ჩემპიონისა და ევროთასებზე გამსვლელთა ბედი.

ჩამოვთვალოთ: პირველი ასეთი თამაში მომავალ კვირას გასამართი, 21-ე ტურის „დინამო" — „ამერია"; 22-ე ტურში „დინამო" მცხეთაში ესტუმრება „ვიტ ჯორჯიას"; 24-ე ტურში ორი დიდი მატჩია — „დინამო" ზესტაფონში ჩადის, „ვიტ ჯორჯია" კი „ამერს" უმასპინძლებს. ხოლო ბოლო ტურში „ზესტაფონი" — „ამერია".

ერთი განმარტებაც: „ამერი" საჩემპიონო ბრძოლას უკვე კარგა ხანია, გამოეთიშა და არც მეორე — საუეფასთასო — ადგილზე გასვლის შანსი აქვს, მაგრამ იმაში დაგვეთანხმებით, რომ გლდანელების ჩემპიონობის მაძიებლებთან შეხვედრების შედეგები ძალიან ძნელი გამოსაცნობია.

ამ დროისთვის „დინამოს" კონკურენტებთან 2 და 6-ქულიანი ჰანდიკაპი აქვს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „დინამოს" განრიგი სხვებისაზე ცუდია: „ვიტ ჯორჯიასაც" და „ზესტაფონსაც" სტუმრად ეთამაშება. ხოლო ბოლო სეზონების ამბებსაც თუ გავიხსენებთ, დინამოელები ვერც მცხეთაში და ვერც ზესტაფონში ფავორიტის სტატუსით ვერ ჩავლენ.

თანმიმდევრობით მივყვეთ და, „დინამო" — „ამერით" დავიწყოთ...

1 ვარიანტი: „დინამომ" მოუგო „ამერს".

ცხრილი ასეთ სახეს მიიღებს:

| | |
|---|---|
| **დინამო** | **57** |
| **ვიტ ჯორჯია** | **55** |
| **ზესტაფონი** | **51** |

ამ შემთხვევაში საჩემპიონო მატჩად, შესაძლოა, „ვიტ ჯორჯია" — „დინამო" იქცეს, რაკი მოგების შემთხვევაში, „დინამო" ინაღდებს ჩემპიონობას. ფრის შემთხვევაში კი საჩემპიონო მატჩად „ზესტაფონი" — „დინამო" იქცევა, რომელიც დინამოელებმა თუ ვერ მოიგეს, „ვიტ ჯორჯიას" უხსნის გზას ჩემპიონობისკენ — თუ მცხეთელებმა „ამერი" დაამარცხეს.

2 ვარიანტი: „დინამო" — „ამერი" ფრედ დასრულდა. მაშინ ცხრილი ასეთ სახეს მიიღებს:

| | |
|---|---|
| **ვიტ ჯორჯია** | **55** |
| **დინამო** | **55** |
| **ზესტაფონი** | **51** |

ამ ვარიანტშიც საჩემპიონო მატჩი „ვიტ ჯორჯია" — „დინამო" ხდება, რომელშიც ფრე ვიტელთა წისქვილზე ასხამს წყალს და ისევ იმ პირობით, რომ მომდევნო პრინციპულ დაპირისპირებაში „ვიტ ჯორჯია" „ამერს" მოუგებს, ხოლო თუ ვერ მოუგო, მონასტერი ისევ აირევა.

3 ვარიანტი: „დინამო" დამარცხდა „ამერთან".

ცხრილი ასეთ სახეს მიიღებს:

| | |
|---|---|
| **ვიტ ჯორჯია** | **55** |
| **დინამო** | **54** |
| **ზესტაფონი** | **51** |

ამ შემთხვევაში, „ვიტ ჯორჯიას" პოზიცია კიდევ უფრო მყარდება, განსაკუთრებულ ინტერესს კი „ზესტაფონი" — „დინამო" გამოიწვევს, რაკი იმერლებს საუკეთესო ადგილის დაკავების კარგი შანსი უჩნდებათ.

და „ზესტაფონის" საჩემპიონო შანსი? საამისოდ ზესტაფონელებმა „ამერსაც" უნდა მოუგონ და „დინამოსაც" და ამერელებსაც უნდა უგულშემატკივრონ „დინამოსთან" და „ვიტ ჯორჯიასთან" შეხვედრაში.

რაც უფრო ნაკლები მატჩი დარჩება სათამაშო, ვარიანტებიც შემცირდება და ჩვენც ყოველი ტურის მერე ამ დარჩენილი ვარიანტების განხილვას შემოგთავაზებთ.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 20 | 18 | 0 | 2 | 51:11 | 54 |
| ვიტ ჯორჯია | 20 | 17 | 1 | 2 | 40:10 | 52 |
| ზესტაფონი | 20 | 15 | 3 | 2 | 43:11 | 48 |
| ამერი | 20 | 12 | 2 | 6 | 36:21 | 38 |
| ოლიმპი | 20 | 10 | 4 | 6 | 18:15 | 34 |
| ბორჯომი | 20 | 8 | 4 | 8 | 25:24 | 28 |
| მესხეთი | 20 | 8 | 4 | 8 | 19:23 | 28 |
| მგლები | 20 | 8 | 3 | 9 | 21:20 | 27 |
| სიონი | 20 | 6 | 5 | 9 | 22:27 | 23 |
| მერანი | 20 | 5 | 1 | 14 | 11:35 | 16 |
| სპარტაკი | 20 | 4 | 4 | 12 | 8:23 | 16 |
| ლოკომოტივი | 20 | 3 | 5 | 12 | 11:26 | 14 |
| ბათუმი | 20 | 3 | 3 | 14 | 10:37 | 12 |
| დილა | 20 | 1 | 5 | 14 | 8:42 | 8 |

# ოლიმპი მიქუჩაძეს უმიზნებს

**რუსთავის** „ოლიმპი" მომავალი სეზონისთვის ძლიერი გუნდის გაკეთებას აპირებს, ბევრი ფეხბურთელის აყვანას გეგმავს და, როგორც გავიგეთ, ერთ-ერთი კოკა მიკუჩაძეა. 27 წლის მიკუჩაძე ამჟამად ისრაელის ლიმიტ-ლიგის აუტსაიდერ ნაზარეთის „ჰაპოელში" თამაშობს და კონტრაქტი მაისში უმთავრდება.

ზამთარში კოკათი ისრაელის უმაღლესი ლიგის გუნდები იყვნენ დაინტერესებულნი, თუმც კლუბმა არ მისცა წასვლის საშუალება. ვნახოთ, ზაფხულში რას გადაწყვეტს: ისრაელში დარჩენას თუ საქართველოში დაბრუნებას...

**ილია ნანობაშვილი**



# რატომ უხდიან ჰიდინკს წელიწადში 2 მილიონს?
# რუსები უცხოელი მწვრთნელის გასაშვებად მომენტს ელიან


კობა ინასარიძის ფოტო

ქართულ საფეხბურთო სამყაროში დღესდღეობით ყველაზე აქტუალური ეროვნული გუნდის ახალი მწვრთნელის მოძებნა-დანიშვნის საკითხია, თანაც ჯერ არც კლაუს ტოპმიოლერის გაშვება-წასვლის ამბავი განელებულა... დღემდე სალაპარაკოა ტოპმიოლერისა და მისი თანაშემწეების ხელფასი, გერმანელი მწვრთნელების „ქართული" საქმისადმი დამოკიდებულება და ზოგისთვის მათი კვალიფიკაციაც საეჭვოა. მოკლედ, ტოპმიოლერის ქართული ოდისეა ისევ არაერთგვაროვან ემოციებს იწვევს... რა ხდება ამ მხრივ რუსეთში და რუსეთის ნაკრებში, სადაც ასევე მაღალანაზღაურებადი უცხოელები მუშაობენ?! სწორედ ამ თემაზე ვესაუბრეთ კაცს, რომელიც ბევრზე უკეთ არის ამ საქმეში გარკვეული. ჩვენშიც პოპულარული რუსული ტელე-არხის „ენტევე ფუტბოლის" მიმომხილველი მიხაილ მელნიკოვი ორიოდ დღის წინ თბილისში იყო, მეგობრებს „სარბიელშიც" გვესტუმრა და ჩვენი ფეხბურთის გარდა, ცხადია, რუსულზეც ვილაპარაკეთ...

## მიხაილ მელნიკოვი: ქართული ფეხბურთის დიდი ქომაგი ვარ...

— გული მწყდება, რომ საქართველოს ნაკრებს არ აქვს ის შედეგი, რასაც ველით. ევროპის ჩემპიონატის წინა შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების ყველა თამაში ვნახე, წავიყვანე უკრაინა — საქართველოსა და საქართველო — საფრანგეთის მატჩების პირდაპირი რეპორტაჟები, რომლებიც ჩვენი არხით გადაიცემოდა — გვითხრა მიხაილ მელნიკოვმა — ტოპმიოლერის ხელში საქართველოს ნაკრებს აშკარად ეტყობოდა პროგრესი და ქართველების სათამაშო დისციპლინა გაუმჯობესებული მეჩვენა. შედეგების გარდა, არ ვიცი, ტოპმიოლერის მწვრთნელობისას საქართველოს ნაკრებში რა ხდებოდა, მაგრამ მიმაჩნია, რომ მას მუშაობა უნდა გაეგრძელებინა. ტოპმიოლერი საკმაოდ კვალიფიციური მწვრთნელია და მისი სამსახური ალბათ კიდევ გამოადგებოდა საქართველოს ნაკრებს.

— ნაკრებს პროგრესი ეტყობოდა, თქვი. უფრო კონკრეტულად, რაში გამოიხატებოდა ეს პროგრესი?

— პირველ ყოვლისა, როგორც გითხარი, სათამაშო დისციპლინა იყო ამაღლებული. ჩანდა, რომ ფეხბურთელებმა იცოდნენ, კონკრეტულ ეპიზოდში რა ეკეთებინათ. ტოპმიოლერმა საქართველოს ნაკრებში ათამაშა სრულიად ჭაბუკები — ყენია და მჭედლიძე, მათ კი დაამარცხეს შოტლანდია. რაც ვნახე, საქართველოს ნაკრებს სამი-ოთხი ნაღდი მოსაგები მატჩი ჰქონდა, მაგრამ არ გაუმართლა... მოკლედ, ტოპმიოლერის მწვრთნელობისას იმედი მომეცა, რომ საქართველო უკვე იმ ფეხბურთს ითამაშებდა, როგორსაც ველოდი.

— იმედები გაგიცრუვდა?

— არა, რას ამბობ... რაკი ტოპმიოლერი წავიდა, ახლა ალბათ ნაკრებს უფრო მაღალი დონის სპეციალისტს ჩააბარებენ და წარმატებაც მოვა. ყოველ შემთხვევაში, მე ამის მჯერა. ისე კი, არ მიმაჩნია სწორად, ნაკრების მწვრთნელები ყოველი შესარჩევი ციკლის შემდეგ იცვლებოდნენ...

— ტოპმიოლერის მოწინააღმდეგეებს ერთ-ერთ არგუმენტად მისი ხელფასი მოჰქონდათ. რუსეთში ცნობილია ნაკრების მწვრთნელის ანაზღაურება?

— ყველამ იცის, რომ გუს ჰიდინკი წელიწადში 2 მილიონ დოლარს იღებს.

— წელიწადში თუ შესარჩევ ციკლში?

— მისი ხელფასი წელიწადში 2 მილიონი დოლარია.

— ამ ფულს რუსეთის საფეხბურთო კავშირი იხდის?

— დიახ. ამ თანხას კი კავშირს სპონსორები აძლევენ. რუსეთის საფეხბურთო კავშირთან ახლა სპონსორების რიგი დგას, პრეზიდენტი ვიტალი მუტკო, ცხადია, საქმეს იმ კომპანიასთან იჭერს, რომელიც მეტს გადაიხდის.

— წელიწადში 2 მილიონი დოლარი — რას ამბობენ რუსეთში, ეს ხელფასი დიდია თუ ნორმალური?

— სხვათა შორის, როცა მუტკომ ხმამაღლა თქვა ჰიდინკის ხელფასი, რუსეთში ერთი ამბავი ატყდა, ამდენ ფულს ვის და რატომ აძლევთო. ჰიდინკის ანაზღაურებაზე ჩვენთან ახლაც ბევრი ლაპარაკობს და ეს მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გავიდა.

— ჰიდინკის დანიშვნა ვისი მოთხოვნა იყო — ჟურნალისტების, ქომაგების, მთავრობის თუ...

— უცხოელი მწვრთნელის დანიშვნის საჭიროებაზე ჟურნალისტები ხუთი-ექვსი წლის წინ ავლაპარაკდით და საამისოდ დიდი კამპანიაც გავაჩაღეთ, მაგრამ მაშინ ჩვენს მოთხოვნას ყურს არავინ უგდებდა. იყო ვალერი გაზაევი, გიორგი იარცევი, იური სიომინი... ისინი კარგი მწვრთნელები არიან, მაგრამ ჩვენი აზრით, მაინც უცხოელი გვჭირდებოდა. მახსოვს, თავის დროზე იტალიელ ალბერტო მალეზანიზე იყო ლაპარაკი, მაგრამ კავშირმა ნაკრებში სიომინის დანიშვნა ამჯობინა. მერე კი კავშირის პრეზიდენტი მუტკო გახდა და ჰიდინკიც მან ჩამოიყვანა...

— რუსეთის საფეხბურთო კავშირი რა დოზით იზიარებს ჟურნალისტთა თუ ქომაგთა კრიტიკასა და შენიშვნებს?

— ადრე იზიარებდნენ და შესაბამისი რეაქციაც ჰქონდათ, მაგრამ ახლა... ახლა რუსეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გავიდა და კრიტიკასაც არავინ იღებს. არადა, საფეხბურთო საქმეებში, ჩვენი აზრით, ძალიან ბევრია გამოსასწორებელი, მათ შორის ნაკრებშიც, მაგრამ რად გინდა, უმეტეს შემთხვევაში არავინ გისმენს.

— ითქვა, თითქოს გუს ჰიდინკის ფულს რომან აბრამოვიჩი იხდისო...

— არა, მე ვიცი, რომ აბრამოვიჩი რუსეთის საფეხბურთო კავშირს რეგიონებში სავარჯიშო მოედნების მოსაწესრიგებლად და მინი-მოედნების გასაკეთებლად აძლევს ფულს. ჰიდინკის ფული კი სპონსორების კისერზეა.

— როგორც ვიცი, გუს ჰიდინკი მწვრთნელად დანიშვნის საწყის პერიოდში რუსეთში არ ცხოვრობდა და არც ჩემპიონატის მატჩებს ესწრებოდა...

— და გგონიათ, რომ ჰიდინკი რუსეთში ახლა ცხოვრობს?

— არა?

— არა, ის თვეში ერთხელ, აუცილებლობისას კი, შეიძლება, ორჯერ ჩამოვიდეს. ადრე ამასაც არ აკეთებდა, მაგრამ ჩვენ ვაიძულეთ, რომ რუსეთში მეტხანს ყოფილიყო. გარკვეულწილად ამას მივაღწიეთ, თუმცა სასურველია, რომ ჰიდინკი კიდევ მეტ ხანს იყოს რუსეთში.

— ჰიდინკი ჩემპიონატის მატჩებს არ ესწრება?

— იშვიათად. მაგალითად, „სპარტაკ" — ცესკას მატჩს ის მხოლოდ მეოთხე ჯერზე დაესწრო. „სპარტაკი" — ცესკა კი, მგონი კარგად იცით, რუსეთში რასაც ნიშნავს. ნაკრების ფეხბურთელთა ნახევარზე მეტი სწორედ ამ გუნდებში თამაშობს. რეგიონებში ჰიდინკი საერთოდ არ დადის, ვლადივოსტოკში, ნოვოსიბირსკში და ტომსკში წასვლაზე ხომ ლაპარაკიც არ არის, სამარაში ახლახან ძლივს ჩაიყვანეს, როცა „კრილიამ" ცესკას უმასპინძლა. ჰიდინკი თამაშებს მხოლოდ მოსკოვში და პეტერბურგში ესწრება. ის მატჩებზე თავის თანაშემწეებს ბოროდიუკსა და კორნეევს აგზავნის, მერე კი ამ მატჩების ვიდეო-ფირებს ითხოვს, რასაც ჰოლანდიაში უგზავნიან.

— ჰიდინკის თანაშემწეები მხოლოდ რუსები არიან?

— არა, ბოროდიუკისა და კორნეევის გარდა ერთი ჰოლანდიელიც ეხმარება და ახლა მეორეც ჩამოიყვანა, ფიზ-მომზადების მწვრთნელი. ევროპის ჩემპიონატის წინ ნაკრებს დაახლოებით ერთთვიანი შეკრება ექნება და ის კაციც იმიტომ დასჭირდა, რომ გუნდი ფიზიკურად ისე მოამზადოს, ჩემპიონატს ფორმის პიკზე შეხვდეს.

— ისე, მახსოვს, როცა ევროპის ჩემპიონატზე რუსეთის გასვლა სათუო იყო, ჰიდინკის მოხსნაზე ბევრი ლაპარაკობდა. ახლა აღარ ისმის ასეთი მოთხოვნები?

— ჯერ არა, მაგრამ რუსეთმა ერთი ამხანაგური მატჩიც რომ წააგოს, მერე ისევ ატყდება ერთი ამბავი ჰიდინკის წასვლის მოთხოვნით. რუსეთმა ხომ ამას წინათ რუმინეთში 0:3 წააგო. რას გაეწყობ, ეს გასაკვირი არც არის. უცხოელი მწვრთნელი ბევრს არ მოსწონს და მცირე საბაბის მიცემისთანავე მის მოხსნას ითხოვენ.

— მიშა, ბოლოს ერთსაც გკითხავ როგორც კოლეგასა და ქართული ფეხბურთის ქომაგს: ვის ისურვებდი საქართველოს ნაკრების ახალ მწვრთნელად?

— კონკრეტული მწვრთნელის დასახელება გამიჭირდება, ისე კი, ვფიქრობ, რომ საქართველოს ნაკრებს ინგლისელი ან გერმანელი გამოცდილი სპეციალისტი უფრო გამოადგება.

— რატომ მაინცდამაინც ინგლისელი ან გერმანელი?

— ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრებს ახლა მკაცრი ხელი სჭირდება, ინგლისელი და გერმანელი მწვრთნელების უმეტესობა კი სწორედ ასე მუშაობს. მიმაჩნია, რომ საქართველოს ნაკრებში, პირველ ყოვლისა, სათამაშო დისციპლინაა კიდევ უფრო დასახვეწი.

**კობა ინასარიძე**

## პეკერმანს მექსიკის ნაკრებში ექაჩებიან

**შესაძლოა**, არგენტინელი ხოსე პეკერმანი რეალურად არც განიხილებოდეს საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატურად, მაგრამ სფფ-ის ხელმძღვანელებმა მისი გვარი რამდენჯერმე ახსენეს.

არგენტინის 21-წლამდელებში უხვავრიელესად მომუშავე ხოსე პეკერმანი ახლა მექსიკურ „ტოლუკას" წვრთნის, თუმც დიდი შანსია, მექსიკის ნაკრების თავკაცად დაინიშნოს.

წიწაკისა და ტელესერიალების ქვეყანაში პეკერმანი დიდი პოპულარობით სარგებლობს, მას თითქმის ყველა ლობირებს მექსიკის ნაკრებისთვის, იქაური ფეხბურთის ფედერაციის გარდა — მათ მადრიდის „ატლეტიკოს" დამრიგებლის, ხავიერ აგირეს დაბრუნება სურთ ნაკრებში.

შეხსენება თუ გჭირდებათ, პეკერმანი 2006 წლის მუნდიალზე არგენტინის ნაკრებს თავკაცობდა და ბევრი კრიტიკაც მიიღო გერმანიასთან მეოთხედფინალში ხუან რომან რიკელმეს შეცვლისა და ლეო მესის სათადარიგოთა სკამზე დატოვებს გამო.

**ილია ნანობაშვილი**

## ქართული ფუტსალი სლოვაკეთში დაიხუთა

**საქართველოს** ფუტსალის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი მარცხით დაიწყო — სლოვაკეთის ქალაქ დაშკოში ჩვენებმა 1:5 დათმეს მასპინძლებთან. ეს ერთადერთი გოლიც ქართველებმა ბოლო წუთზე შეაგდეს — დავით წიწქალაძემ იხეირა.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში კი ბელგიელებმა 7:0 გაანადგურეს ბულგარეთი.

აღსანიშნავია, რომ ფუტსალში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი პირველად ტარდება — ფინალური ეტაპი შემოდგომაზე რუსეთში იქნება.

ქართველების სრული შემადგენლობა სლოვაკეთთან: *წამალაშვილი, ქეფაშვილი, კობიძე, წიწქალაძე, ნამორაძე, წერედიანი, მაისაია, გეგეჭკორი, ზუმბაძე, მუმლაძე, ჭოხონელიძე.*

**ილია ნანობაშვილი**

# ტოპმიოლერმა იმედი გამიცრუა

## რა უთხრა რინუს მიხელსმა თამაზ კოსტავას

საქართველოს მე-19 ეროვნული ჩემპიონატის დასაწყისიდან „ოქროს დინამოს" ერთ-ერთი წარმომადგენელი თამაზ კოსტავა თბილისის „მერანს" ხვრთნიდა, თუმც იგი გულმა შეაწუხა და ერთხანს მძიმე მდგომარეობაშიც იყო. საბედნიეროდ, ქართველი ქომაგის საყვარელი ფეხბურთელი სრულად გამოჯანმრთელდა და ახლახან საფეხბურთო საქმიანობაშიც ჩაერთო — ეროვნული ჩემპიონატის მატჩების დირექტორია. კოსტავას გუშინ „ნორჩი დინამოელის" სკოლაში შევხვდით...



— მადლობა ღმერთს, ნელ-ნელა ჯანზე მოვდივარ და უკვე საქმიანობასაც შევუდექი — ჩვენი ჩემპიონატის მატჩების დირექტორი ვარ.

— სამწვრთნელო საქმიანობას არ დაუბრუნდებით?

— ექიმებმა ნება დამრთეს, მწვრთნელობას დავუბრუნდე, მაგრამ მინდა, ექვსი თვე დავისვენო, უფრო მოვღონიერდები და შემდეგ კი ვნახოთ...

— ბოლო დროს საქართველოში ერთ-ერთი აქტუალური თემა ეროვნული ნაკრების მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერის წასვლაა. თქვენ როგორ აფასებთ გერმანელის მიერ საქართველოში გაწეულ სამუშაოს?

— სიმართლე გითხრათ, მისგან გაცილებით მეტს ველოდი, მაგრამ იმედი გამიცრუა. ტოპმიოლერმა იგივე შეცდომები დაუშვა, რაც მისმა წინამორბედებმა.

— კონკრეტულად რა შეცდომებს გულისხმობთ?

— თუნდაც ჩრდილოეთ ირლანდიასთან ბოლოს ჩატარებული მატჩი ავიღოთ, სადაც რამდენიმე უთამაშებელ ფეხბურთელებს ენდო. ძალიან შემეცოდა, უდავოდ ნიჭიერი და პერსპექტიული გიორგი მაკარიძე. მისი ბრალი არაფერია, გიორგის შეცდომებში მწვრთნელი იყო დამნაშავე. ბავშვი საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაშიც არ თამაშობს... ვისაც ფეხბურთი უთამაშია, ყველამ კარგად იცის, როგორ ცუდ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ხარ, როცა კლუბში თამაში არ გიწევს, სათამაშო პრაქტიკის არმქონე ფეხბურთელმა, შესაძლოა, 20 წუთი გაძლოს და ითამაშოს ნორმალურ დონეზე, მეტს ფიზიკურად ვერ შეძლებს. და კიდევ, 17-18 წლის ბიჭებისთვის ეროვნული ნაკრები დიდი ტვირთია. შეიძლება, ერთი ვუნდერკინდი გყავდეს, როგორიც ლევან ყენიაა. ჩემი აზრით, მათ ასაკობრივ ნაკრებებში უნდა მიიღონ გამოცდილება. ეს გაცილებით დიდ ეფექტს მოგვცემს.

— ახლა საქართველოს ნაკრები უმწვრთნელოდაა. როგორ ფიქრობთ, ისევ უცხოელი უნდა მოიყვანონ თუ ქართველი?

— მაღალკვალიფიციური უცხოელი თუ იქნება, მან თვეში სამი კვირა საქართველოში უნდა გაატაროს, უყუროს ჩემპიონატის შეხვედრებს, შეარჩიოს ფეხბურთელები, მის თანაშემწედ კი აუცილებლად ქართველი უნდა დანიშნონ. კონტრაქტში ჩაუწერონ, რომ ქართველ მწვრთნელებს შიგადაშიგ თავისი ცოდნა გაუზიაროს, ეს ჩვენს ფეხბურთს წაადგება, მწვრთნელები ბევრ ახალს გაიგებენ. მახსოვს, ერთხელ აქ მომუშავე უცხოელი მწვრთნელი ქართველ კოლეგებს რომ შეხვდა და ერთსაათიანი სემინარი ჩაგვიტარა. ის ივო შუშაკი იყო. ამ შეხვედრით აღფრთოვანებული დავრჩი, რადგან რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე შევიტყვე.

— საქართველოში მწვრთნელთა განათლება მართლაც დიდი პრობლემაა...

— ჩვენს ქვეყანაში არიან კარგი მწვრთნელები, მაგრამ ისინი ყოველდღიურად უნდა ცდილობდნენ ცოდნის გაღრმავებას. ერთხელ ფინეთში ვიყავით სემინარზე, სადაც ბუმბერაზი მწვრთნელი რინუს მიხელსიც იყო. მაშინ 65 წლის იქნებოდა, მაგრამ ჩვენსავით ეჭირა ავტოკალამი და ყველაფერს ინიშნავდა. სალამოს სუფრაზე ახალგაზრდებს გვითხრა, სანამ სამწვრთნელო საქმიანობაში იქნებით, სწავლა არ ითაკილოთო.

— შესაძლოა, ჩვენი ნაკრები თემურ ქეცბაიას ჩააბარონ. ამაზე რას იტყვით?

— ძალიან მოხარული ვიქნები, თუ ქეცბაიას დანიშნავენ. მან იცის ქართული ფეხბურთის ავანჩავანი. გახსოვთ, როგორი გულიანი ფეხბურთელი იყო? „ანართოსისში" წარმატებები აქვს, პროლიცენზიასაც ფლობს, ქართველ ფეხბურთელებთან ურთიერთობაც არ გაუჭირდება. მის კანდიდატურას ვემხრობი.

— მომავალ შესარჩევ ციკლში ახალ მწვრთნელს რა უნდა მოვთხოვოთ?

— რეალურად შევხედოთ — ოთხი-ხუთი ფეხბურთელი გვყავს, რომლებიც სისტემატურად თამაშობენ წამყვან ევროპულ ქვეყნებში. ეროვნული ჩემპიონატის დონე კი, ყველამ ვიცით, როგორიცაა — ჩვენ ერთ ადგილს ვტკეპნით, ევროპაში კი წინ მიდიან. წინსვლისთვის გვინდა კარგი მინდვრები, წელგამართული კლუბები, რომლებსაც საკუთარი ბაზა ექნებათ... ქართველებს ნიჭი ნაღდად არ გვაკლია მთავარია, სწორ გზას დავადგეთ და ჩვენი ფეხბურთიც აუცილებლად განვითარდება.

**ნუგზარი ლოლაძე**

# სეგრტის მაღაროელი და გერმანია



პეტარ სეგრტი და გელა შეყილაძე

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი პეტარ სეგრტი 9 აპრილს ჭიათურას ეწვია და „მაღაროელს" ორსაათიანი წვრთნა ჩაუტარა.

სეგრტს ოთარ გაბელია, ასლან ბალაძე, გელა შეყილაძე და გიორგი დევდარიანი ეხმარებოდნენ. ვარჯიში მრავალფეროვანი გამოდგა, ხორვატმა დრო თეორიულ მეცადინეობასაც დაუთმო.

ამ ერთჯერადი ვარჯიშით კმაყოფილი დარჩა „მაღაროელის" მთავარი მწვრთნელი ბადრი ბრეგვაძე: „ძალიან სასარგებლო წვრთნა გამოვიდა, ყველანი კმაყოფილები ვართ, ამ ორმა საათმა საინტერესოდ ჩაიარა და ბევრი ახალი რამ შევიტყვეთ".

ჭიათურიდან თბილისში დაბრუნებული პეტარ სეგრტი რამდენიმე დღით გერმანიაში გაფრინდა.

**ნუგზარი ლოლაძე**

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა



ეჰ... ჯანლუიჯი ბუფონს მწვრთნელიც კარგი ჰყავს და ალიონა სერედოვაც

გერმანელებმა მაპი არ მოგვცესო... დალოცვილიშვილო, ბუნდესლიგის გუნდებს გულზე „გაზპრომი" აწერიათ და შენ მაპს მოგცემენ?!

არა, ისე მართლა რა დრო დადგა, არა? ჩადის გერმანიაში „ზენიტი" და 4:1-ს იგებს...

მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც გერმანიაში ტარდება, თვითონ „ფეერგე" მესამე ადგილზე გადის და მოჭარბებული სიხარულისგან ზეიმს აწყობს...

ჩამორჩენილები ვართ და მწვრთნელით დაგვეხმარეო, ვთხოვთ და ტოპმიოლერს გვიგზავნის....

რას გეტყვი, იცი? ნარდი პერის ეთამაშე! ვერ გაიგე, მწვრთნელი გვინდაო, გითხარით, მ-წ-ვ-რ-თ-ნ-ე-ლ-ი! შენ კიდევ... ეგეთებით გვაკვირვებ ქართველებს? ეგეთი, სამსახურში სიარული რომ ეზარება, ჩვენთან თითო ოჯახზე სამი მოდის.

ერთი იშოვეს და მაინც და მაინც, აქეთ გამოაგზავნეს, ბარემ ამასაც მოვიშორებთო.

ეჰ, სულ ხუმრობა, ხუმრობა... სახუმაროდ გვაქვს საქმე? ნაკრები უმწვრთნელოდ დაგვრჩა და ვინ მოვიყვანოთ, არ ვიცით. ვან გაალიო... აუ, რას გადარევენ იმ პატიოსან ადამიანს? ის სანამ პლანშეტს გაშლის და ლეკალოს და ტრანსპორტირს ამოიღებს, ესენი უკვე თავ-თავიანთ უბნებში ბირჟებზე იდგებიან, ბიჭო, ვიღაც გოიმი მოგვიყვანეს, ჩანთაში ფურცელი უდევსო.

იმ დღეს ვიღაცამ მკითხა, ბორა მილუტინოვიჩი სად არისო. მოხუცებულთა თავშესაფარშია, სად უნდა იყოს.

ბორა მილუტინოვიჩი არა, გი ტისი და რაიმონ გუტალსი.

საერთოდ, საქართველოს ნაკრების მწვრთნელად ძალიან ცნობილი ადამიანი არ უნდა მოვიყვანოთ, იმიტომ, რომ ძალიან ცნობილი ძალიან ბევრ ფულს ითხოვს, ჩვენ, უბრალო და გამრჯე ქართველი ხალხი კი, ასეთებს ვერ ვეგუებით. ჩვენ ათწლეულობით შეგვიძლია ვითმინოთ კაცი, რომელიც, მაგალითად, საქართველოს ბიუჯეტს ხრავს და რატომ, იცი? იმიტომ, რომ ჩვენიანია და გვიყვარს, თორემ უცხოელი მოვიდეს და დიდი ხელფასი მოითხოვოს, ეგრე სად არის?!

კიდევ, აი, რას გეტყვი: საქართველოს ნაკრების მწვრთნელად არ უნდა დავნიშნოთ ნაკლებად ცნობილი ადამიანი და რატომ, იცი? იმიტომ, რომ ჩვენ ის ხალხი არ ვართ, ნაკლებად ცნობილი რომ გვეკუთვნოდეს. როგორ, ჩვენი ფეხბურთის ბედი ისეთ ვიღაცას ვანდოთ, კაცმა რომ არ იცის, ვინ არის? კასპერჩაკიო... კრანჩარი და იანიჩარიო... მერე, ეგეთს დიდ ფულს არ დაუნიშნავენ და ზნაჩიტ, ლევის გააკეთებს... ამათთან გარიგებით.

მოკლედ, სახუმაროდ ნამდვილად არ გვაქვს საქმე. რაღაც უნდა ვიღონოთ. რამენაირად ვინმე ქართველი უნდა მოვიყვანოთ მწვრთნელად და რატომ, იცი? იმიტომ, რომ გვიყვარს, თორემ გერმანელებმა, ხომ ხედავ, მაპიც კი არ მოგვცეს.

**ბაპუნა ძიდია**

ავტორი დაბეჯითებით მოითხოვს საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე ჰაინც ტოპმიოლერის კანდიდატურის განხილვას.

კოსმოპოლიტური მიმოხილვა

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
SLOT POKER CLUB VEGA
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

## ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

# რა ხდება ნიღბის ქვეშ?

## რონალდინიო და დეკუ სახლიდან გაუშვეს და აღარ დაბრუნებულან

**ბარსელონა 1:0 შალკე (1:0)**

1:0 ტურე (43)

**ბარსელონა:** ვალდესი, ძამბროტა, ტურამი, პუიოლი, აბიდალი, ხავი, ი. ტურე (მარკესი 81), ინიესტა, კრკიჩი (დოს სანტოსი 73), ეტოო, ანრი (გუდიონსენი 90)

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

**შალკე:** ნოიერი, რაფინია (ლარსენი 77), ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ჯონსი, ერნსტი, ქობიაშვილი (გროსმიულერი 32), ალთინთოფი, ასამოა (სანჩესი 69), კურანი

მწვრთნელი: მირკო სლომკა

გაფრთხილება: რაფინია, ვესტერმანი, პუიოლი

მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)

88 000 მაყურებელი

**„ბარსელონამ“** მოიგო, მაგრამ კვლავ ვერ აჩვენა ის ფეხბურთი, რომელსაც ამ გუნდის ქომაგები მიჩვეულნი არიან. მართალია, ბოლო სამ მატჩში გოლი არ გაუშვია, თუმც მხოლოდ ორი გაიტანა, ფანები კი მეტს ელიან.

„შალკესთან“ თამაშამდე ერთი საათით ადრე „ბარსას“ ეკონომიკური კომისიის შეფმა ხავიერ სალა მარტინმა სკანდალური განცხადება გააკეთა. იგი ამტკიცებს, რომ ზოგიერთი ფეხბურთელის ტრავმა მოგონილია, სინამდვილეში კი მათ უდისციპლინობის გამო უთამაშებლობით სჯიან.

სალა მარტინი კლუბის დირექტორატის წევრი არაა, 2006-ში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობდა და მომავალშიც აპირებს.

„ერთი შეხედეთ იმ ჯენტლმენებს, რომლებიც არ ვარჯიშობენ, არ თამაშობენ და საერთოდ არაფერს აკეთებენ. ისინი რამდენიმე კვირაა, არავის უნახავს, რადგან „ბარსას“ შეფებმა გუნდს მოაშორეს — თქვა მარტინმა კატალონიურ რადიოსთან ინტერვიუში — ცხადია, ტრავმა მხოლოდ ნიღაბია სიმართლის დასაფარად. სინამდვილეში მათ იზოლირებას ცდილობენ დანარჩენი გუნდისგან“.

მან ფეხბურთელების გვარები არ დააკონკრეტა, თუმც მსგავსი განცხადება საკმარისია იმისთვის, რომ რონალდინიოს და დეკუს გაუჩინარების ამბავში ცეცხლს ნავთი დაასხას.

რონალდინიოს თვეზე მეტია, არ უთამაშია. ამბობდნენ, თითქოს გამოკეთდაო და გასულ ტურში უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ შესაძლოა, „ბარსას“ სეზონის ბოლომდე დააკლდეს.

დეკუც დაახლოებით ასეა და მარტიდან კოჭის ტრავმას იშუშებს.

სალა მარტინმა დანარჩენი ბარსელონელების ვექილობა იკისრა და განაცხადა, რომ თუ ვინმემ დისციპლინა დაარღვია, ამის გამო მთელი გუნდი არ უნდა გაისვაროს.

„უსამართლობაა, რომ ერთი-ორი ფეხბურთელის გრიალის გამო, რომლებიც ვარჯიშებზე სიარულს ბარში ჯდომას ამჯობინებენ, დანარჩენებიც ლანძღონ“— არნიშნა მარტინმა.



კრკიჩი (№27) ვერც კობიმ შეაჩერა და ვერც დანარჩენმა „ხუმარებმა“

რაც შეეხება თამაშს, ფრანკ რაიკარდმა თქვა: „ძალიან დაძაბული მატჩი გამოვიდა, რადგან მეტოქეს დასაკარგი არაფერი ჰქონდა და გულიანად გვიტევდა. ურიგოდ არც ჩვენ გვითამაშია, თუმც პირველ ტაიმში არ გამოგვივიდა ის, რაც დავგეგმეთ. შესვენების შემდეგ საგრძნობლად მოვუმატეთ და საგოლე მომენტებიც შევქმენით.

ჩემი აზრით, ბოიან კრკიჩი საუცხოო იყო, ქომაგებს იგი ძალიან უყვართ. მიხარია, ასე რომ აფასებენ, მაგრამ გაუგებარია გულშემატკივრების პროტესტი, რომელიც მის შეცვლას და ჯოვანის შესვლას მოჰყვა. მათ ჩემი გადაწყვეტილება არ მოიწონეს, არადა ჯოვანი თამაშში კარგად ჩაერთო. „მანჩესტერთან“ მატჩისთვის სათანადოდ უნდა მოვემზადოთ“.

„შალკეს“ თავკაცი მირკო სლომკა: „თავიდან მეტოქეს ჩვენი თამაში მოვახვიეთ თავს და შესვენებამდე არაერთი საგოლე მომენტი გვქონდა. მეორე ნახევარსი „ბარსამ“ ცოტა გვაჯობა და კონტრშეტევა ვცადეთ, რამაც არ გაამართლა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# უცუდესი დე როსი დე როსის კარიერაში



**მანჩესტერი 1:0 რომა (2:0)**

1:0 ტევესი (70)

*დე როსიმ ვერ გაიტანა პენალტი (30, მეკარე)*

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ბრაუნი, პიკე, ფერდინანდი, სილვესტრი, ჰარგრივსი, პარკი, კარიკი (ოში 74), ანდერსონი (გ. ნევილი 81), გიგზი (რუნი 74), ტევესი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

**რომა:** დონი, პანუჩი, მექსესი, ჟუანი, კასეტი (ტონეტო 57), დე როსი, პიზარო (ჟიული 69), ტადეი (ესპოზიტო 81), პეროტა, მანსინი, ვუჩინიჩი

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

გაფრთხილება: პეროტა

მსაჯი: ტომ-ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

74 423 მაყურებელი

**„მანჩესტერმა“** ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ მე-11 საშინაო მატჩი მოიგო, რითაც ამ შეჯიბრის რეკორდი დაამყარა.

გამარჯვების მიუხედავად, ალექს ფერგიუსონი მსაჯს გადასწვდა და თქვა, რომ პენალტი არ უნდა დანიშნულიყო: „უესლი ბრაუნმა ფეხი ბურთს მიარტყა და მანსინი არ წაუქცევია“.

დანიელე დე როსიმ, ვისაც პენალტი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალშიც გაუტანია და თერთმეტი მეტრიდან შაბათს „ჯენოას“ კარშიც შეაგდო, ამჯერად ვერ ივარგა — ბურთი ტრიბუნაზე გაუშვა.

„ნამატჩევს ფანებს მოვუბოდიშე — განაცხადა რომაელმა — ძალიან ემოციური მომენტი იყო, ვერგატანის გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი ქომაგები მაინც ჩემს სახელს გაჰყვიროდნენ და გვერდში მედგნენ. ბევრად უფრო ცნობილ ფეხბურთელებსაც გაუფუჭებიათ პენალტები, თუმც ამით თავს ვერ დავიმშვიდებ. ეს იყო ალბათ უცუდესი მომენტი ჩემს კარიერაში. ასეა თუ ისე, ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში შარშანდელზე უკეთ ვითამაშეთ და უკვე საკმაო გამოცდილება გვაქვს. ახლა სკუდეტოს მოგებაზე უნდა ვიფიქროთ“.

„რომას“ მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი, მატჩის შემდეგ, ცხადია, პენალტის მისტიროდა: „რომ გაეტანა, სულ სხვა თამაში წავიდოდა, მაგრამ როცა ასეთ მომენტში პასუხისმგებლობას კისრულობ, შეცდომისგან დაზღვეული არ ხარ. „ჯენოასთან“ მატჩის ბოლოს დანიელემ თერთმეტი მეტრიდან შეაგდო და სამი ქულა მოგვიტანა, ამჯერად კი ცუდად შეასრულა. რა თქმა უნდა, საწყენია, რადგან ამ დონის შეხვედრაში ნებისმიერი შეცდომა ძვირად ფასობს.

თამაშის დასაწყისში „მანჩესტერმა“ ორი საგოლე მომენტი შექმნა, მერე კი ჩვენც გავშინაურდით და საკმაოდ კარგად შევუტიეთ. ტევესის გოლამდე სამ-ოთხჯერ მაინც შეგვეძლო გატანა. ალექს ფერგიუსონს აშკარად ძლიერი გუნდი ჰყავს და ჩემს ფეხბურთელებთან სასაყვედურო არაფერი მაქვს. შარშანდელთან შედარებით, „რომა“ გაიზარდა და ბევრად უფრო გამოცდილია. ორი მატჩის ჯამში „მანჩესტერზე“ მეტი საგოლე შანსი გვქონდა, მაგრამ მათი გამოყენება უნდა ვისწავლოთ. სწორედ ამით გვაჯობა უფრო გამოცდილმა და მაღალი კლასის მეტოქემ“.

ალექს ფერგიუსონმა კრიშტიანუ რონალდუ არ ათამაშა — „არსენალთან“ ზეგინდელი მატჩისთვის დაასვენა, თან ამით აჩვენა, რომ „მანჩესტერი“ ერთ კაცზე ჩამოკონწიალებული გუნდი არაა და რონალდუს გარეშეც მოიგებს. „სტუმრად ორბურთიანი სხვაობით გამარჯვებამ რამდენიმე კაცის დასვენების საშუალება მომცა — თქვა მწვრთნელმა — მჯერა ყველა ჩემი ფეხბურთელის, სათადარიგო იქნება თუ ძირითადი შემადგენლობის. ნებისმიერ მათგანს შეუძლია ასეთ მატჩებში უმაღლეს დონეზე თამაში“.

ფერგიუსონისთვის სასიხარულო კიდევ ისაა, რომ მიკაელ სილვესტრი და გარი ნევილი გამოჯანმრთელდნენ. პირველმა თავიდანვე ითამაშა, ხოლო მეორე შეცვლაზე შევიდა და გულშემატკივრები ფეხზე წამოუდგნენ, რადგან ტრავმის გამო წელიწადზე მეტი გაუცდა. ეს იყო ნევილისთვის 99-ე მატჩი ჩემპიონთა ლიგაში. „ძალიან მიხარია დაბრუნება და ვიმედოვნებ, რომ ჯილდოების მოგებაში მცირე წვლილს მეც შევიტან. გუნდი შესანიშნავად თამაშობს. პრემიერლიგისა და ჩემპიონთა ლიგის მოგების შანსი გვაქვს, ისევე როგორც შარშან, თუმც მაშინ ასე კარგ ფორმაში არ ვიყავით. „ბარსელონასთან“ ორი დაუვიწყარი მატჩი გველის, რადგან ორივე შემტევ ფეხბურთს ვთამაშობთ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

**ნახევარფინალი**

**ბარსელონა — მანჩესტერი**

***პირველი მატჩი გაიმართება 23 აპრილს, საპასუხო — 30 აპრილს***

# სკოლარის ფილოსოფია და ფსიქოლოგია



**პორტუგალიის ნაკრების ბრაზილიელ მწვრთნელ ლუიშ ფელიპე სკოლარის fifa.com-მა ახლახან ვრცელი და საინტერესო ინტერვიუ ჩამოართვა. სკოლარი ზოგადად ფეხბურთზე, პორტუგალიის ნაკრებზე, საკუთარ თავზე, დასახულ მიზნებსა და კიდევ ბევრ რამეზე საუბრობს**

**— არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ნაკრების მწვრთნელობა მსოფლიოში საუკეთესო სამუშაოა. ეთანხმებით ამ აზრს?**

— რასაკვირველია, ეს კარგი სამუშაოა, ამას არ უარვყოფ. თუმცა ნაკრების მწვრთნელობა დიდ პასუხისმგებლობასაც მოითხოვს. ზოგჯერ ქვეყნის პრემიერმინისტრსა და პრეზიდენტზე მნიშვნელოვანი ხარ.

**— ამას რატომ ამბობთ?**

— იმიტომ, რომ მთელი მსოფლიო ფეხბურთზე ლაპარაკობს და ასე თუ ისე, ამ საგანში ერკვევა. ხალხი პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, ჯანმრთელობასა და სხვა თემებზე გაცილებით ნაკლებს საუბრობს. რა თქმა უნდა, ნაკრების მწვრთნელობა კარგია, მაგრამ ეს დიდ შრომას მოითხოვს და იოლი საქმე არ გეგონოთ.

**— ნაკრების მწვრთნელობა კლუბისას სჯობს — ნაკლები დატვირთვა, ნაკლები სტრესი...**

— ერთი შეხედვით ამის თქმა შეიძლება, მაგრამ ცდებით. მართალია, საწვრთნელ ბაზაზე ყოველდღე არ ხარ, მაგრამ თავისუფალი დრო ფაქტობრივად არ მაქვს. ცალ-ცალკე უნდა დააკვირდე ფეხბურთელებს, ბევრი იფიქრო, არის ფსიქოლოგიური და სხვა ასპექტებიც. მუდამ ფხიზლად უნდა იყო.

**— რა გჭირდებათ იმისთვის, რომ ნაკრების კარგი მწვრთნელი იყო?**

— ფეხბურთი ძალიან კარგად უნდა იცოდე. ასევე, გარშემო კარგი ხალხი უნდა გყავდეს შემოკრებილი, სასიამოვნო ატმოსფეროს ფონზე. გამოცდილებაც საჭიროა, თუ გსურს, რომ არა მარტო ფეხბურთელები, არამედ მთელი ქვეყანა გენდობოდეს. დაბოლოს, საქმე ვნებით და ოპტიმისტურად უნდა აკეთო.

**— რა არის პრიორიტეტული ნაკრების მწვრთნელისთვის — ტაქტიკა თუ მოტივაცია და ხასიათი?**

— პირველ რიგში, ისეთი მოთამაშეები უნდა შეკრიბო, რომლებიც შენს ფილოსოფიას იზიარებენ. ამის მერე, ცხადია, მოტივაციაზე და ფსიქოლოგიაზე მუშაობაა საჭირო. ერთ-ერთი ყველაზე რთული ფეხბურთელის ისე კარგად გაცნობაა, რომ მას საუკეთესო პოზიცია და დავალება შეურჩიო.

**— აშკარაა, რომ ფსიქოლოგიური მხაზე თქვენთვის ფუნდამენტურია.**

— ასი პროცენტით! არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კარგი ხასიათის ფეხბურთელებთან ურთიერთობა გაცილებით იოლია. მენტალურ მხარეზე მუშაობა უფრო ადვილია, ვიდრე სპორტულზე. ფეხბურთელს დარტყმის ან პასის სწავლებას თუ დაუწყებ, დროს ფუჭად დაკარგავ. სამაგიეროდ, რამდენიმე სიტყვით შეიძლება, საბრძოლოდ განაწყო და კარგი რაღაცები შთააგონო. ყველაზე ცუდია, როცა სუსტი ან რთული ხასიათის ფეხბურთელთან თვალმაქცურ კარგ ურთიერთობას დაიჭერ და მას ჰგონია, რომ ისეთივეა, როგორც სხვები.

**— 2002 წელს ბრაზილიასთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგეთ. 2004 წელს პორტუგალია ევროპის ჩემპიონატის ფინალში გაიყვანეთ. როგორ გაიხსენებდით ამ მიღწევებს?**

— ძალიან სასიამოვნოდ მაგონდება, რაც ლოგიკურია. თუმცა 2004 წელს, ფინალში საბერძნეთთან წაგების მერე დეპრესიაში ვიყავი, ეს ჩემთვის და მთელი პორტუგალიისთვის დიდი დარტყმა იყო. თუმცა ცივი გონებით თუ განვსჯით, ჩვენთვის ეს დიდი წარმატება იყო. არც 2006 წლის მუნდიალი ჩავატარეთ ცუდად და ევრო 2008-ზეც შორს ვაპირებთ წასვლას. პორტუგალია საკუთარ ძალებში ასე დარწმუნებული აქამდე არ ყოფილა.

**— ნაკრებს მენტალიტეტი შეეცვალა?**

— ნამდვილად. ჩვენი მიზანიც ეს იყო. დღევანდელი პორტუგალიის ნაკრები მენტალიტეტით ძალიან ძლიერია. ევრო 2008-ზე გასვლა ადვილი არ იყო, სირთულეები შეგვხდა, მაგრამ გადავლახეთ. რამდენიმე წლის წინ ამას ვერ შევძლებდით. ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასვლამ ნაკრებზე ძალიან იმოქმედა.

**— რამდენად შორს შეუძლია პორტუგალიას ევრო 2008-ზე წასვლა?**

— მჯერა, რომ ფინალში გასვლა შეგვიძლია. ოღონდ გზად მძიმე ბრძოლა გველის და ბევრ ძლიერ მეტოქეს უნდა გავუმკლავდეთ. ფინალზე უკვე ფანებიც დარწმუნებით ლაპარაკობენ, მაგრამ პრობლემა ერთია — ჩვენს გარდა იქ მოხვედრა ყველას უნდა.

**— 2010 წლის მუნდიალზე პორტუგალიას კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებთ?**

— დიახ, მაგრამ აქამდე დიდი დრო და გზაა. ამ პერიოდში შეიძლება, ბევრი რამ მოხდეს. ცვლილებების და საქმეში ახალგაზრდა ფეხბურთელების ჩართვის არ უნდა გეშინოდეს. შესაძლოა, ამან დაწყობილი მექანიზმი ცოტა არიოს, მაგრამ ახალგაზრდა ტალანტი მას მეორე მხრივ აძლიერებს.

**— თქვენმა პოლიტიკამ პორტუგალიის ნაკრების გაახალგაზრდავების შესახებ უმტკივნეულოდ ჩაიარა.**

— დიახ, და ეს პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ევრო 2008-ზე ბევრს გავაოცებთ და მომავალშიც მსოფლიოს მოწინავე ხუთეულში ვიქნებით. 2002 წლის გუნდიდან ალბათ მხოლოდ სამი-ოთხი ფეხბურთელი იქნება. როცა ბრაზილიაში გამოუცდელ ახალგაზრდებს, მაგალითად, ჟილბერტო სილვას, კლებერსონს და კაკას ვენდობოდი, მაკრიტიკებდნენ, მაგრამ მერე მიხვდნენ, რომ მართალი ვიყავი. რასაკვირველია, გამოცდილება მნიშვნელოვანია, საფრანგეთმა მუნდიალი ასეთი მოთამაშეებით მოიგო, მაგრამ მათი და ახალგაზრდობის შერწყმა ყოველთვის იდეალური ვარიანტია. მუდამ ამის მომხრე ვარ და ჯერჯერობით ჩემი სტრატეგია ამართლებს, მაგრამ სიახლეებიც საჭიროა ხოლმე.

**— ბრაზილიასა და პორტუგალიას შორის სხვაობა ხარისხშია თუ რაოდენობაში?**

— ძირითადად რაოდენობაში. ისე, ეს ორი ნაკრები ერთმანეთს ძალიან ჰგავს. ბრაზილიაც და პორტუგალიაც ხარისხიან, ლამაზ და კომბინაციურ ფეხბურთს თამაშობს. ბრაზილიისა და ბევრი ევროპული ნაკრებისგან განსხვავებით, პორტუგალია ფიზიკურ ძალას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. რეალური სხვაობა კი მართლაც რაოდენობაა, ბრაზილიაში 200 მილიონი ადამიანია, პორტუგალიაში — 10. შესაბამისად, აქ ასარჩევი ფეხბურთელებიც ნაკლებია.

**— თუმცა ხარისხისა და რაოდენობის გარდა, ბრაზილიას რაღაც სხვა საიდუმლოც აქვს.**

— იცით, რაშია საიდუმლო? ბრაზილიაში ერთი ბურთი 200 ბავშვს აბედნიერებს. მხოლოდ ბურთი გჭირდება, სწორედ ამიტომაა ფეხბურთი ასე პოპულარული. სპორტის სხვა სახეობებს იქ ნაკლები ყურადღება ექცევა, რადგან ბევრად მეტ ხარჯებს უკავშირდება. ცხადია, იქაური კლიმატური პირობებიც ხელისშემწყობი ფაქტორია. ყველაფერი ერთად კი ბრაზილიას საოცარ საფეხბურთო ქვეყნად აქცევს — ბრაზილიელი სისხლში ფეხბურთით იბადება.

**— ბრაზილიაში ძალიან დიდი კონკურენციაა და ბევრი მოთამაშე ამის გამო სხვა ქვეყნის მოქალაქეობას იღებს. თქვენი აზრით, ეს პრობლემაა?**

— ჩინოვნიკებმა ამ ამბავს უნდა მიხედონ. ფეხბურთელთა ასეთი გადინება უნდა შეწყდეს. ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერს ამ მხრივ სერიოზული როლის თამაში შეუძლია. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, საკლუბო დონეზეც გავამკაცრებდი წესებს. თითოეულ გუნდში მხოლოდ ოთხი ან ხუთი უცხოელი უნდა დაუშვან.

**— რას იტყვით, ფეხბურთში ახალი ტექნოლოგიების შემოტანაზე? სადამდე შეიძლება, წავიდეთ?**

— ვეწინააღმდეგები ყველა იმ ტექნოლოგიის დანერგვას, რომელსაც ადამიანი გააკონტროლებს. ეს მანიპულაციისა და მაქინაციების ახალი წყარო იქნება. ბურთში მიკროჩიპის ჩამონტაჟებას და სხვა მსგავს სასარგებლო ნოვაციებს ვემხრობი.

**— რა მხრივ უფრო განვითარდება ფეხბურთი — ფიზიკურად თუ ტექნიკურად?**

— უფრო ფიზიკურად. დღესდღეობით ფიზიკურად ძლიერ ნებისმიერ გუნდს შეუძლია, ტექნიკურ მონაწინააღმდეგეს პრობლემა შეუქმნას. ვარჯიშები თითქმის ყველას იდენტური აქვს, ფიზიკურ დატვირთვას დიდი ყურადღება ექცევა. ეს ტექნიკურ გუნდებს უფრო სწრაფად ფიქრსა და მოქმედებას აიძულებს. ერთი სიტყვით, ფეხბურთი უფრო რთულდება, ძალები თანაბრდება.

**— კაკა ახსენეთ. როცა 2002 წლის მუნდიალზე წაიყვანეთ, წარმოიდგენდით, რომ ასე მალე მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად იქცეოდა?**

— ძნელია, 18-19 წლის მოთამაშეზე ივარაუდო, როდის მიაღწევს პიკს, რადგან მისი განვითარება უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული. თუმც კაკას შემთხვევაში აშკარა იყო, რომ მას უდიდესი პოტენციალი ჰქონდა.

**— დღეს კრიშტიანუ რონალდუ თამაშობს საოცრად. ალბათ მას ძალიან აფასებთ.**

— რა თქმა უნდა. კრისი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა, „მანჩესტერ იუნაიტედისთვისაც“ და ნაკრებისთვისაც. კრიშტიანუ სამაგალითო ბიჭია, რომელიც უცებ გაიზარდა, დაიხვეწა და ლიდერად ჩამოყალიბდა. დარწმუნებული ვარ, მომავალი 35 წლის განმავლობაში რონალდუ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა შორის იქნება.

**— 2014 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა ბრაზილიას უნდა...**

— ჩვენთვის ეს ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სამხრეთ აფრიკისთვის. ეს ქვეყნის განვითარებას შეუწყობს ხელს. ეჭვიც არ მეპარება, რომ მუნდიალი ჩინებულად ორგანიზებული იქნება. დროა, მსოფლიოს ჩემპიონატი ხუთგზის ჩემპიონებთან ჩატარდეს.

**— როგორია ლუიშ ფელიპე სკოლარი მოედნის მიღმა?**

— აბსოლუტურად დინჯი და წყნარი. დროის უდიდეს ნაწილს შინ, ოჯახთან ერთად ვატარებ. ვცხოვრობთ ჩვეულებრივად, ძალიან მშვიდად.

**— თქვენი და სერბი ივიცა დრაგუტინოვიჩის გაწევ-გამოწევა ვინც ნახა, ამის დაჯერება გაუჭირდება...**

— ეს არ იყო კარგი ეპიზოდი და არც თავს ვიმართლებ. თუმცა არ დავუშვებდი, რომ ვინმეს ჩემი ფეხბურთელებისთვის რამე დაეშავებინა.

**— თქვენი მეუღლე ოლგა იმ ინციდენტის გამო ძალიან შეწუხებული იყო...**

— მართალია, ჩემი საქციელი ყველაზე მეტად მას არ მოეწონა, მაგრამ ჩემი პროფესია ასეთ ეპიზოდებსაც შეიცავს.

# თეოდონა და კაპელოს ორიოდ წუთი



**რაა გასაკვირი** იმაში, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ლივერპულთან“ დამარცხების შემდეგ, „არსენალის“ ვარსკვლავები ფრიად დაითრგუნენ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სიამაყისთვისაც აქვთ ერთი ფრიადი მიზეზი — თეო უოლკოტის დრიბლინგზე მოგახსენებთ. დიახ, სანამ სტივენ ჯერარდი „მეთოფეთა“ კარში საბედისწერო პენალტს დაარტყამდა, ლონდონელმა ყმაწვილკაცმა „ენფილდ როუდი“ დაზაფრა. მან ბურთი თავის ნახევარზე მიიღო და მასპინძელთა კარისკენ წამოიწყო სვლა, რომელიც მეტოქეთა საჯარიმოში ემანუელ ადებაიორისთვის საგოლე პასის მიგორებით დასრულდა.

ინგლისელი ჟურნალისტები ამბობენ, რომ თეო უოლკოტის ამ შედევრმა მათ 1998 წელს არგენტინის ნაკრების კარში მაიკლ ოუენისა და 1986 წელს ინგლისის ნაკრების კარში დიეგო მარადონას გოლი გაახსენა. სანამ ადებაიორს საგოლე პასს მიაწოდებდა, 19 წლის ჯადოქარმა ოთხი ლივერპულელი ჩამოიტოვა, მაგრამ... ერთი უცნაური ამბავიც უნდა გითხრათ: ინგლისის ნაკრების იტალიელმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ ამ ფანტასტიკურ დრიბლინგამდე სულ რამდენიმე წუთით ადრე დატოვა სტადიონი. რასაკვირველია, კაპელო გამოტოვებულ ეპიზოდს მოგვიანებით ნახავდა ჩანაწერში.

მცველი კოლო ტურე: „თეოს დრიბლინგი ზღაპრული იყო, მით უფრო, რომ ბოლოს ჩინებული პასით დაგვირგვინდა. ის ჩინებული ფეხბურთელია და ყოველდღიურად ხვეწს ოსტატობას. ვფიქრობ, ერთ მშვენიერ დღეს ის ინგლისური ფეხბურთის უდიდეს ვარსკვლავთა შორის დაიმკვიდრებს ადგილს“.

ტოგოელმა ადებაიორმა კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უოლკოტის ჯადო-გარღვევით ყველაზე მეტად იხეირა — გოლი შეაგდო.

ადებაიორი: „თეო ძალიან სწრაფია და დიდებულ ფეხბურთს თამაშობს. მისი პარტნიორობა დიდი სიამოვნებაა. ბოლო რამდენიმე თვეა, მან განსაკუთრებით მოუმატა“.

თეო უოლკოტის ჩინებული გარღვევის შემდეგ საფეხბურთო ინგლისურში ახალი გვარიც კი შეიქმნა: თეოდონა!

**პაატა ძიდია**

# რონალდინიოს ალბერტინიც მილანისკენ უბიძგებს



**„მილანში“** რონალდინიოს გადასვლას კიდევ ერთი მომხრე გამოუჩნდა — „როსონერის“ და იტალიის ნაკრების ექსნახევარმცველი დემეტრიო ალბერტინი. მასაც მიაჩნია, რომ „სან სიროზე“ ბრაზილიელის გადაბარგება საკმაოდ რეალურია.

„მილანში“ რონის გადასვლა მართლაც რეალურია, რადგან „ბარსელონაში“ რთული სიტუაცია აქვს. თან „როსონერის“ დარ ბრწყინვალე გუნდში ბრაზილიელი თავს ჩინებულად იგრძნოს, აქ ბევრი თანამემამულე და კარგი ატმოსფერო დახვდება. როგორც იცით, რონალდინიოს გვერდით მითამაშია და იგი მართლაც ერთ-ერთი უნიჭიერესი ფეხბურთელია, რომელიც მინახავს და მას კიდევ დიდი პოტენციალი აქვს, რომლის გამოვლენის საშუალებაც სჭირდება“ — აცნიშნა ალბერტინიმ.

კარიერის მიწურულს ალბერტინი „ბარსელონაში“ თამაშობდა და მართლაც კარგად იცნობს რონალდინიოს. მისი თქმით, ბრაზილიელის რთულ ხასიათზე საუბრები ძალიან გადამეტებული და აბსურდულია.

„რონი დამყოლია და იცის, როგორ მიიღოს რჩევა. გასახდელში ყველასთან კარგი ურთიერთობა აქვს და თანაგუნდელების ნათქვამს ყოველთვის ითვალისწინებს. მას „მილანზე“ ძალიან კარგი წარმოდგენა აქვს, ისევე, როგორც ყველა ფეხბურთელს, „სან სიროსკენ“ მასაც მიუწევს გული. პატარა სახალისო ამბავსაც გეტყვით — რონალდინიომ მანქანის მართვა არ იცის და სტადიონზე მუდამ ოჯახის წევრებს ან მეგობრებს მიჰყავთ“ — დასძინა ალბერტინიმ.

**გიორგი ძაძაგაძე**

# პაპარესტა და რაკალბუტო უბრალოები არიან





**ჯანლუკა პაპარესტასა** და სალვატორე რაკალბუტოს მსაჯობის განახლება შეუძლიათ. მათმა აპელაციამ გაჭრა და ამ ორ არბიტრს სასჯელი შეუმცირეს. ახლანდელი განაჩენით, პაპარესტას სასჯელი 15 მაისამდე ჰქონდა, რაკალბუტოს კი 15 აპრილამდე აქვს.

შეგახსენებთ, რომ ორივე მათგანი კალჩოპოლის სკანდალში იყო გარეული და მსაჯობა საკმაო ხნით აეკრძალათ, მაგრამ შემდგომ, გამოძიებამ დაადგინა, რომ ისინი ფაქტობრივად უდანაშაულონი არიან.

დღესდღეობით, იტალიაში მსაჯებთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემაა და ეს ორი გამოცდილი არბიტრი წესით სიხარულით უნდა დააბრუნონ სერია A-ში.

„დარწმუნებული ვიყავი, რომ ადრე თუ გვიან ჩემი უდანაშაულობა დამტკიცდებოდა. სამწუხაროდ, ამას გარკვეული დრო დასჭირდა, მაგრამ მთავარია, რომ ახლა ყველაფერი გარკვეულია“ — თქვა პაპარესტამ.

**ძოძი ძანდელაძი**

# რობერტო დონადონიზე ზეწოლა გრძელდება

**რობერტო დონადონის** ევრო 2008-ზე ალესანდრო დელ პიეროს წაყვანა „მილანის“ ნახევარმცველმა მასიმო ამბროზინიმაც მოუწოდა. შეგახსენებთ, რომ დღეს იტალიაში დელ პიეროს, ანტონიო კასანოს, ჯუზეპე როსისა და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის მხარდასაჭერი კამპანია მიმდინარეობს, მაგრამ დონადონი ამ ყველაფერს ყურადღებას ჯერჯერობით არ აქცევს და ხსენებულ მოთამაშეებს ნაკრებში არ იწვევს.

„ალექსი ბრწყინვალე ადამიანი და ფეხბურთელია. მას აქვს ნიჭი, ძალა და შემართება, ამ თვისებების წყალობით მან კრიტიკოსები გააჩუმა. დელ პიერომ ყველას დაანახა, რომ ნამდვილი ჩემპიონია და ბევრი რამ კვლავაც შეუძლია. ასე რომ, დიდი იმედი მაქვს, მას ევრო 2008-ზე ვიხილავ. იგი იტალიის ნაკრებს სჭირდება. გარდა ამისა, ალე ჩემი საყვარელი მეტოქეა მაგიდის ჩოგბურთში, რადგან ყოველთვის ვუგებ“ — ღიმილით განაცხადა ამბროზინიმ.

**ძოძი ძანდელაძი**

## ინგლისი

### ჩემპიონატი. გადადებული მატჩები

იფსვიჩი 1:1 კარდიფი

უოტფორდი 0:3 ბარნსლი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვესტ ბრომვიჩი | 41 | 20 | 10 | 11 | 81:52 | 70 |
| ბრისტოლი | 42 | 19 | 13 | 10 | 49:49 | 70 |
| სტოკი | 42 | 18 | 15 | 9 | 64:53 | 69 |
| ჰალი | 41 | 19 | 11 | 11 | 59:41 | 68 |
| უოტფორდი | 42 | 18 | 14 | 10 | 60:51 | 68 |
| კრ. პალასი | 42 | 15 | 17 | 10 | 48:40 | 62 |
| იფსვიჩი | 42 | 16 | 13 | 13 | 59:52 | 61 |
| ვულვზი | 40 | 16 | 13 | 11 | 47:45 | 61 |
| ჩარლტონი | 42 | 16 | 12 | 14 | 58:52 | 60 |
| პლიმუთი | 42 | 16 | 11 | 15 | 54:46 | 59 |
| ბარნლი | 42 | 15 | 13 | 14 | 55:57 | 58 |
| კარდიფი | 41 | 14 | 15 | 12 | 48:45 | 57 |
| შეფილდი | 42 | 14 | 15 | 13 | 48:46 | 57 |
| ქუინზ პარკი | 42 | 13 | 15 | 14 | 58:60 | 54 |
| პრესტონი | 42 | 15 | 9 | 18 | 45:47 | 54 |
| ნორვიჩი | 42 | 14 | 10 | 18 | 43:51 | 52 |
| ბლექპული | 42 | 11 | 17 | 14 | 55:56 | 50 |
| ბარნსლი | 41 | 12 | 13 | 16 | 46:57 | 49 |
| ქოვენთრი | 42 | 13 | 10 | 19 | 44:56 | 49 |
| საუთჰემპტონი | 42 | 12 | 13 | 17 | 51:67 | 49 |
| უენსდი | 42 | 12 | 12 | 18 | 45:50 | 48 |
| ლესტერი | 42 | 11 | 14 | 17 | 39:41 | 47 |
| სკანთორპი | 42 | 9 | 12 | 21 | 39:62 | 39 |
| კოლჩესტერი | 42 | 7 | 15 | 20 | 57:76 | 36 |

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. გადადებული მატჩი

გრეტნა 0:0 სენტ მირენი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 30 | 24 | 3 | 3 | 73:24 | 75 |
| სელტიკი | 31 | 21 | 5 | 5 | 69:21 | 68 |
| მოზერუელი | 31 | 16 | 4 | 11 | 41:35 | 52 |
| დანდი იუნ. | 33 | 14 | 8 | 11 | 48:38 | 50 |
| ჰიბერნიანი | 33 | 14 | 8 | 11 | 47:38 | 50 |
| აბერდინი | 33 | 12 | 8 | 13 | 43:53 | 44 |
| ფოლკირკი | 33 | 11 | 9 | 13 | 40:44 | 42 |
| ჰართსი | 33 | 11 | 9 | 13 | 42:48 | 42 |
| ინვერნესი | 33 | 11 | 3 | 19 | 41:58 | 36 |
| კილმარნოკი | 33 | 8 | 9 | 16 | 34:46 | 33 |
| სენტ მირენი | 32 | 8 | 9 | 15 | 22:48 | 33 |
| გრეტნა | 33 | 4 | 5 | 24 | 29:76 | 17 |

## აშშ

### მეიჯორ ლიგა. III ტური

კანზასი 1:3 ნიუ ინგლენდი

## საფრანგეთი

### პირველი დივიზიონი. გადადებული მატჩი

სენტ ეტიენი 2:0 ლანსი

1:0, 2:0 გომისი (12, 14)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 32 | 21 | 4 | 7 | 65:32 | 67 |
| ბორდო | 32 | 18 | 7 | 7 | 56:34 | 61 |
| ნანსი | 32 | 14 | 13 | 5 | 36:22 | 55 |
| მარსელი | 32 | 14 | 10 | 8 | 47:34 | 52 |
| სენტ ეტიენი | 32 | 13 | 7 | 12 | 39:32 | 46 |
| ნიცა | 32 | 10 | 14 | 8 | 27:24 | 44 |
| რენი | 32 | 12 | 8 | 12 | 35:38 | 44 |
| ლე მანი | 32 | 12 | 8 | 12 | 36:42 | 44 |
| ლილი | 32 | 9 | 16 | 7 | 34:26 | 43 |
| ლორიანი | 32 | 10 | 13 | 9 | 27:31 | 43 |
| კაენი | 32 | 11 | 10 | 11 | 35:43 | 43 |
| ვალანსიენი | 32 | 11 | 8 | 13 | 37:32 | 41 |
| სოშო | 32 | 10 | 11 | 11 | 29:34 | 41 |
| 18:00 | 713 | პარტიკი-რეინჯერსი | 11.00 | 5.50 | 1.20 | 3.66 | 1.08 | 1.00 |
| | | ჰოკეი. ამხანაგური თამაშები | | | | | | |
| | | 11 აპრილი | | | | | | |
| 22:00 | 727 | შვეიცარია-ჩეხეთი | 2.40 | 4.30 | 1.90 | 1.54 | 1.06 | 1.31 |
| | | ხელბურთი.კაცები გერმანიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 12 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 730 | ფლენსბურგი-კეპინგენი | 1.01 | 12.00 | 13.00 | 1.00 | 1.00 | 6.23 |
| 17:00 | 731 | ბალინგენი-ლემგო | 2.65 | 9.50 | 1.55 | 2.07 | 1.00 | 1.33 |
| 17:00 | 732 | მინდენი-ვეტცლარი | 1.65 | 9.00 | 2.45 | 1.39 | 1.00 | 1.92 |
| 21:00 | 733 | მაგდებურგი-გროსვალშტადტი | 1.40 | 10.00 | 3.20 | 1.22 | 1.00 | 2.42 |
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 734 | ესენი-ჰამბურგი | 11.00 | 15.00 | 1.02 | 6.34 | 1.00 | 1.00 |
| | | ხელბურთი.კაცები დანიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 12 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 117 | სილკებორგი-ააბ | 1.25 | 10.00 | 3.80 | 1.11 | 1.00 | 2.75 |
| 18:00 | 118 | მორსი-კოლდინგი | 9.00 | 11.00 | 1.04 | 4.94 | 1.00 | 1.00 |
| 18:00 | 119 | ნორდსიელანდი-ორჰუსი | 4.00 | 11.00 | 1.20 | 2.93 | 1.00 | 1.08 |
| 18:00 | 120 | რინგსტედი-სვენდბორგი | 9.00 | 11.00 | 1.05 | 4.94 | 1.00 | 1.00 |
| | | ხელბურთი.კაცები ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 11 აპრილი | | | | | | |
| 22:15 | 728 | ჰამბურგი-სიუდად რეალი | 1.35 | 10.00 | 3.50 | 1.18 | 1.00 | 2.59 |
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 19:45 | 729 | ბარსელონა-კილი | 1.30 | 10.00 | 4.00 | 1.15 | 1.00 | 2.85 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15165 | ვერდერი-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15168 | ბოხუმი-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15169 | კოტბუსი -არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15170 | ჰანოვერი-აინტრახტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15171 | ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15172 | კარლსრუე-ჰანზა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15175 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15177 | აუგსბურგი-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15178 | ჰოფენჰაიმი-ალემანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15179 | მიონხენგლადბახი-ფიურტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15180 | აუე-კაიზერსლაუტერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15181 | ოფენბახი-მიუნხენი 1860 | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15182 | პადერბორნი-კიოლნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15183 | ოსნაბრიუკი-კობლენცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15184 | ფრაიბურგი-კარლ ცაისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15185 | ვეენი-ზტ.პაული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15205 | ალტახი-აუსტრია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15206 | მატერსბურგი-ზალცბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15208 | შტურმი-ტიროლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15210 | რიდი-ლინცერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15313 | სედანი-ბრესტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15314 | ანჟე-შატორუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15315 | ნიორი-კლერმანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15316 | დიჟონი-გრენობლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15318 | გენგამი-ლე ავრი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15319 | ბულონი-ლიბურნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15320 | აიაჩო-ნანტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15321 | ამიენი-რეიმსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15322 | შარლერუა-გენკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15323 | ბრიუგე-სერკლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15324 | დენდერი-ბრიუსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15325 | ლოკერენი-სტანდარდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15327 | მეხელენი-გენტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15328 | მუსკრონი-ვარეგემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15329 | მონსი-რუზელარე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15330 | სტ.ტრუიდენი-ვესტერლო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15331 | ანდერლეხტი-ბეერსხოტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15343 | ტილბურგი-ფეიენოორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15344 | პსვ-ტვენტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15345 | ექსელსიორი-ალკმაარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15346 | ჰერაკლესი-ბრედა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15348 | გრააფსხაპი-უტრეხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15349 | ნაიმეგენი-ვიტესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15350 | როდა-ვენლო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15351 | გრონინგენი-აიაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15353 | სპარტა-ჰერენვენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15354 | ვეენდამი-ვალვაიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15355 | კამბური-ჰელმონდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15356 | ჰაარლემი-მაასტრიხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15357 | ვოლენდამი-დორდრეხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15358 | ზვოლე-ემენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15359 | ეინდჰოვენი-აპელდორნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15360 | დენ ბოსხი-ტელსტარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15361 | სიტარდი-დენ ჰააგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15362 | როზენდალი-ოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15363 | ომნივორლდი-იგლზი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15364 | გიმარაეში-ბოავიშტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15366 | ნასიონალი-ფერეირა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15367 | ნავალი-მარიტიმუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15370 | სეტუბალი-პორტუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15374 | ამადორა-ბელენენსეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს ბარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16165 | ვერდერი-შალკე | 1.32 | 3.00 |
| 16168 | ბოხუმი-ჰერტა | 1.55 | 2.20 |
| 16169 | კოტბუსი -არმინია | 1.50 | 2.30 |
| 16170 | ჰანოვერი-აინტრახტი | 1.50 | 2.30 |
| 16171 | ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 1.52 | 2.20 |
| 16172 | კარლსრუე-ჰანზა | 1.32 | 3.00 |
| 16175 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1.58 | 2.10 |
| 16177 | აუგსბურგი-მაინცი | 2.10 | 1.60 |
| 16178 | ჰოფენჰაიმი-ალემანია | 1.17 | 4.10 |
| 16179 | მიონხენგლადბახი-ფიურტი | 1.25 | 3.40 |
| 16180 | აუე-კაიზერსლაუტერნი | 1.55 | 2.20 |
| 16181 | ოფენბახი-მიუნხენი 1860 | 1.58 | 2.10 |
| 16182 | პადერბორნი-კიოლნი | 3.00 | 1.30 |
| 16183 | ოსნაბრიუკი-კობლენცი | 1.52 | 2.20 |
| 16184 | ფრაიბურგი-კარლ ცაისი | 1.23 | 3.60 |
| 16185 | ვეენი-ზტ.პაული | 1.50 | 2.30 |
| 16205 | ალტახი-აუსტრია | 1.95 | 1.65 |
| 16206 | მატერსბურგი-ზალცბურგი | 2.30 | 1.48 |
| 16208 | შტურმი-ტიროლი | 1.30 | 3.00 |
| 16210 | რიდი-ლინცერი | 1.82 | 1.82 |
| 16313 | სედანი-ბრესტი | 1.38 | 2.65 |
| 16314 | ანჟე-შატორუ | 1.40 | 2.55 |
| 16315 | ნიორი-კლერმანი | 1.70 | 1.95 |
| 16316 | დიჟონი-გრენობლი | 1.80 | 1.85 |
| 16318 | გენგამი-ლე ავრი | 2.05 | 1.65 |
| 16319 | ბულონი-ლიბურნი | 1.40 | 2.55 |
| 16320 | აიაჩო-ნანტი | 2.30 | 1.48 |
| 16321 | ამიენი-რეიმსი | 1.32 | 3.00 |
| 16322 | შარლერუა-გენკი | 1.55 | 2.20 |
| 16323 | ბრიუგე-სერკლი | 1.38 | 2.65 |
| 16324 | დენდერი-ბრიუსელი | 1.23 | 3.60 |
| 16325 | ლოკერენი-სტანდარდი | 3.30 | 1.25 |
| 16327 | მეხელენი-გენტი | 1.58 | 2.10 |
| 16328 | მუსკრონი-ვარეგემი | 1.45 | 2.45 |
| 16329 | მონსი-რუზელარე | 1.25 | 3.40 |
| 16330 | სტ.ტრუიდენი-ვესტერლო | 1.65 | 2.05 |
| 16331 | ანდერლეხტი-ბეერსხოტი | 1.12 | 4.60 |
| 16343 | ტილბურგი-ფეიენოორდი | 2.45 | 1.40 |
| 16344 | პსვ-ტვენტე | 1.17 | 4.10 |
| 16345 | ექსელსიორი-ალკმაარი | 2.10 | 1.60 |
| 16346 | ჰერაკლესი-ბრედა | 2.40 | 1.45 |
| 16348 | გრააფსხაპი-უტრეხტი | 1.75 | 1.85 |
| 16349 | ნაიმეგენი-ვიტესი | 1.40 | 2.55 |
| 16350 | როდა-ვენლო | 1.12 | 4.60 |
| 16351 | გრონინგენი-აიაქსი | 2.45 | 1.40 |
| 16353 | სპარტა-ჰერენვენი | 2.30 | 1.45 |
| 16354 | ვეენდამი-ვალვაიკი | 2.45 | 1.40 |
| 16355 | კამბური-ჰელმონდი | 2.10 | 1.60 |
| 16356 | ჰაარლემი-მაასტრიხტი | 2.90 | 1.32 |
| 16357 | ვოლენდამი-დორდრეხტი | 1.11 | 5.70 |
| 16358 | ზვოლე-ემენი | 1.23 | 3.60 |
| 16359 | ეინდჰოვენი-აპელდორნი | 1.50 | 2.30 |
| 16360 | დენ ბოსხი-ტელსტარი | 1.12 | 4.60 |
| 16361 | სიტარდი-დენ ჰააგი | 2.05 | 1.62 |
| 16362 | როზენდალი-ოსი | 1.38 | 2.65 |
| 16363 | ომნივორლდი-იგლზი | 1.25 | 3.40 |
| 16364 | გიმარაეში-ბოავიშტა | 1.24 | 3.60 |
| 16366 | ნასიონალი-ფერეირა | 1.25 | 3.40 |
| 16367 | ნავალი-მარიტიმუ | 1.75 | 1.85 |
| 16370 | სეტუბალი-პორტუ | 2.90 | 1.32 |
| 16374 | ამადორა-ბელენენსეში | 1.65 | 2.05 |

## გოლი:ღუვილი-1ლი კენტი-2 (0:0 ითვლება ღუვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17165 | ვერდერი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17166 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17168 | ბოხუმი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17169 | კოტბუსი -არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17170 | ჰანოვერი-აინტრახტი | 1.85 | 1.95 |
| 17171 | ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17172 | კარლსრუე-ჰანზა | 1.85 | 1.95 |
| 17173 | ჰამბურგი-დუისბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17175 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17177 | აუგსბურგი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17178 | ჰოფენჰაიმი-ალემანია | 1.85 | 1.95 |
| 17179 | მიონხენგლადბახი-ფიურტი | 1.85 | 1.95 |
| 17180 | აუე-კაიზერსლაუტერნი | 1.85 | 1.95 |
| 17181 | ოფენბახი-მიუნხენი 1860 | 1.85 | 1.95 |
| 17182 | პადერბორნი-კიოლნი | 1.85 | 1.95 |
| 17183 | ოსნაბრიუკი-კობლენცი | 1.85 | 1.95 |
| 17184 | ფრაიბურგი-კარლ ცაისი | 1.85 | 1.95 |
| 17185 | ვეენი-ზტ.პაული | 1.85 | 1.95 |
| 17205 | ალტახი-აუსტრია | 1.85 | 1.95 |
| 17206 | მატერსბურგი-ზალცბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17208 | შტურმი-ტიროლი | 1.85 | 1.95 |
| 17210 | რიდი-ლინცერი | 1.85 | 1.95 |
| 17211 | რაპიდი-აუსტრია კერნტენი | 1.85 | 1.95 |
| 17313 | სედანი-ბრესტი | 1.85 | 1.95 |
| 17314 | ანჟე-შატორუ | 1.85 | 1.95 |
| 17315 | ნიორი-კლერმანი | 1.85 | 1.95 |
| 17316 | დიჟონი-გრენობლი | 1.85 | 1.95 |
| 17317 | ტრუა-გენიონი | 1.85 | 1.95 |
| 17318 | გენგამი-ლე ავრი | 1.85 | 1.95 |
| 17319 | ბულონი-ლიბურნი | 1.85 | 1.95 |
| 17320 | აიაჩო-ნანტი | 1.85 | 1.95 |
| 17321 | ამიენი-რეიმსი | 1.85 | 1.95 |
| 17322 | შარლერუა-გენკი | 1.85 | 1.95 |
| 17323 | ბრიუგე-სერკლი | 1.85 | 1.95 |
| 17324 | დენდერი-ბრიუსელი | 1.85 | 1.95 |
| 17325 | ლოკერენი-სტანდარდი | 1.85 | 1.95 |
| 17327 | მეხელენი-გენტი | 1.85 | 1.95 |
| 17328 | მუსკრონი-ვარეგემი | 1.85 | 1.95 |
| 17329 | მონსი-რუზელარე | 1.85 | 1.95 |
| 17330 | სტ.ტრუიდენი-ვესტერლო | 1.85 | 1.95 |
| 17331 | ანდერლეხტი-ბეერსხოტი | 1.85 | 1.95 |
| 17343 | ტილბურგი-ფეიენოორდი | 1.85 | 1.95 |
| 17344 | პსვ-ტვენტე | 1.85 | 1.95 |
| 17345 | ექსელსიორი-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |
| 17346 | ჰერაკლესი-ბრედა | 1.85 | 1.95 |
| 17348 | გრააფსხაპი-უტრეხტი | 1.85 | 1.95 |
| 17349 | ნაიმეგენი-ვიტესი | 1.85 | 1.95 |
| 17350 | როდა-ვენლო | 1.85 | 1.95 |
| 17351 | გრონინგენი-აიაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17353 | სპარტა-ჰერენვენი | 1.85 | 1.95 |
| 17354 | ვეენდამი-ვალვაიკი | 1.85 | 1.95 |
| 17355 | კამბური-ჰელმონდი | 1.85 | 1.95 |
| 17356 | ჰაარლემი-მაასტრიხტი | 1.85 | 1.95 |
| 17357 | ვოლენდამი-დორდრეხტი | 1.85 | 1.95 |
| 17358 | ზვოლე-ემენი | 1.85 | 1.95 |
| 17359 | ეინდჰოვენი-აპელდორნი | 1.85 | 1.95 |
| 17360 | დენ ბოსხი-ტელსტარი | 1.85 | 1.95 |
| 17361 | სიტარდი-დენ ჰააგი | 1.85 | 1.95 |
| 17362 | როზენდალი-ოსი | 1.85 | 1.95 |
| 17363 | ომნივორლდი-იგლზი | 1.85 | 1.95 |
| 17364 | გიმარაეში-ბოავიშტა | 1.85 | 1.95 |
| 17366 | ნასიონალი-ფერეირა | 1.85 | 1.95 |
| 17367 | ნავალი-მარიტიმუ | 1.85 | 1.95 |
| 17368 | ბრაგა-ლეირია | 1.85 | 1.95 |
| 17369 | სპორტინგი-ლეიშოეში | 1.85 | 1.95 |
| 17370 | სეტუბალი-პორტუ | 1.85 | 1.95 |
| 17372 | ბენფიკა-აკადემიკა | 1.85 | 1.95 |
| 17374 | ამადორა-ბელენენსეში | 1.85 | 1.95 |

# იყოს ცოტა და კარგი

## ანტიკოსები პეკინისთვის ხარისხს ეძებენ

**ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ფინურ ტამპერეში ჩამთავრებულ ევროპის ჩემპიონატზე ერთი ვერცხლისა და ერთიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. თუმცა ამ ეტაპზე ნაკრებისთვის პრიორიტეტული არა მედლები, არამედ საპეკინო ლიცენზიები და ოლიმპიადისთვის სრულფასოვანი მომზადებაა. ტამპერეში ლიცენზიის აღება ვერ მოხერხდა, მედლები მოჭიდავეებმა იმ წონებში დაისაკუთრეს, რომლებშიც ჩინეთს საგზური უკვე გვაქვს და ახლა მთელი აქცენტი იტალიასა და სერბეთში გასამართ სალიცენზიო ტურნირებზე გაკეთდება. გუშინ ნაკრების თავკაც ბეგი დარჩიას განვლილ ევროპის ჩემპიონატსა და სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ**



[illegible] ფოტო

— ირაკლი ჭოჭუა (55 კგ) გამოცდილი ბიჭია, ბევრ ტურნირზე უჭიდავია და გადავწყვიტეთ, რომ ევროპაზე კიდევ ერთი შანსი მიგვეცა, თუმცა ვერ გაამრთლა. ამიტომ იტალიის სალიცენზიო ტურნირზე უკვე ახალგაზრდა ლაშა გოგიტაძე წავა. ეს ბიჭი ჩემი მოსწავლეა, ძალიან პერსპექტიულია და იმსახურებს შანსის მიცემას.

60 კგ-ში დავით ბედინაძე დავასვენეთ და შანსი ასევე ახალგაზრდა რევაზ ლაშხს მივეცით. ბედინაძეს წონის პრობლემა აქვს და ამიტომ არ ვაჭიდავეთ, თორემ კარგ ფორმაში იყო და ჩემპიონობაც შეეძლო, თუმც მთავარია, რომ ოლიმპიადისთვის კარგად მოემზადოს.

ლაშხს ცუდად არ უჭიდავია და ორი შეხვედრაც მოიგო.

მუხრან მაჭუტაძეს (66 კგ) მეტი მობილიზება მართებს. სამ მოსაგებ შეხვედრაში იმარჯვა და ბრინჯაოს ფინალში რუსთან დამარცხდა. ვფიქრობ, მეტი შეეძლო... იტალიაში ისევ მაჭუტაძე იჭიდავებს, უკან დასახევი გზა არ აქვს.

შმაგი გულიაშვილმა (74 კგ) ჩვენი იმედები ვერ გაამართლა. არადა, გამოუცდელიაო, მაგასაც ვერ ვიტყვი. საერთაშორისო ტურნირებშიც უჭიდავია და საქართველოს ჩემპიონატიც ორჯერ მოიგო. იტალიაში მანუჩარ კვირკველია წავა. მანუჩარს არაფრის პრობლემა არ აქვს. ტურნირს მომზადებული შეხვდება. მართალია, ამ წონაში ჯერ კიდევ ძლიერი მოჭიდავეები არიან ულიცენზიოდ, მაგრამ კვირკველიას პოტენციალი სხვებისას ჯობს და გვჯერა, რომ ლიცენზიასაც აიღებს და ოლიმპიადაზეც კარგად გამოვა.

ბადრი ხასაიამ (84 კგ) ბოლო შეჯიბრებებში აშკარად მოუმატა. ევროპის ჩემპიონობაც შეეძლო, მაგრამ, სამწუხაროდ, ტრავმა მიიღო და თურქ მსოფლიოს ჩემპიონ ნაზმი ავლუხასთან ვეღარ იჭიდავა. არადა, შარშან მოუგო. რას ვიზამთ, სპორტი ასეთია, ტრავმისგან დაზღვეული არავინაა. მთავარია, რომ ბადრის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და შეუძლია ვარჯიში მალე განაგრძოს.

რამაზ ნოზაძე (96 კგ) სრულფასოვანი ვარჯიშების საშუალება ტრავმამ არ მისცა. ერთი შეკრება გამოტოვა და მეორეზეც ბოლომდე ვერ დავტვირთე. ამიტომაც ევროპის ჩემპიონატს სასურველ ფორმაში ვერ შეხვდა. რუსი უხერხული მეტოქე კი არის, მაგრამ წაგების მიზეზი მაინც ფორმაში არყოფნა იყო. ბრინჯაოს ფინალში კი როცა დასჭირდა, ტემპსაც მოუმატა და ლამაზი ილეთითაც იმარჯვა. მთავარი ის იყო, რომ ჭიდაობის საშუალება მიეცა. მძიმე წონაში გურამ ფერსელაძისგან მედალს ველოდით. თავიდან ფინელს აჯობა და მერე ფრანგ სპორტსმენთან დამარცხდა. არადა, მასზე სუსტი ნამდვილად არ იყო. ახლა შანსი რეზო ჭელიძეს მიეცემა.

**— მთლიანობაში გუნდის გამოსვლას, როგორ შეაფასებთ?**

— ოქროს მედალს ვგეგმავდით, მაგრამ არ გამოვიდა. ხასაია მზად იყო საჩემპიონოდ, თუმც... საერთოდ ეს ჩემპიონატიც ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად გამოვიყენეთ.

ახლა გვინდა, რომ დარჩენილ 4 წონაშიც ავილოთ საგზური და ვფიქრობთ, მოვახერხებთ. ისე, მთავარი ჩვენთვის რაოდენობა არ არის, მთავარი ხარისხია.

**— ყოველ ტურნირზე მოჭიდავეებს ფილა ახალ-ახალ წესებს ახვედრებს, ამაზე რას გვეტყვით. რამდენად გიქმნით ეს პრობლემებს?**

— სიმართლე გითხრათ ფილას მეტს ეს წესები არავის მოსწონს და ოლიმპიადის მერე ცვლილებები იქნება. ამ წესების მიხედვით, შედარებით სუსტ მოჭიდავესაც აქვს გამარჯვების შანსი, ცოტა თუ მსაჯიც წაეხმარება. ამით ფილა გარკვეულწილად საერთო დონის გათანაბრებას ცდილობს და ეს გამოსდის კიდეც. ამ ჩემპიონატზეც შვიდივე ოქროს მედალი სხვადასვა ქვეყანაზე გადანაწილდა.

**— ნაკრები კიდევ რომელ ტურნირებზე გამოვა და მზადებას სად გააგრძელებს?**

— 23 აპრილს ორკვირიან შეკრებას ვიწყებთ ბორჯომში, მერე უკვე იტალიისა და სერბეთის სალიცენზიო ტურნირების დროც დგება. ამას რუმინეთის 10-დღიანი შეკრება და გრან პრი მოსდევს. 16 დღე წახნაძორში გავივლით მომზადებას. ივნისში ესპანეთის ტურნირი გველის, ისევ შეკრება უკვე ორკვირიანი ბელარუსში და დასკვნითი მოსამზადებელი ეტაპი, 9 დღე ბორჯომში. პეკინში კი 9-10 დღით ადრე წავალთ...

**ლექსო მაისურაძე**

ძიუდო

# მოვიდა, ნახა, შეგვაქო

## პრეზიდენტთან სტუმრობა სულ არაა ხუმრობა

**9 აპრილს** საღამოს საქართველოს ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი მარიუს ვიზერი და საპატიო პრეზიდენტი შანდორ სანი ეწვივნენ. გუშინ კი დღის 12 საათზე სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში" პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც მსოფლიო ძიუდოს გამრიგეებმა ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა დილარ ხაბულიანმა და ვიცე-პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა ისაუბრეს. ვიზერმა ქათინაურები არ დაიშურა ქართველი ძიუდოისტებისა და საქართველოს ძიუდოს ფედერაციის მიმართ. არ გაგიკვირდეთ და, პროფესიონალიზმი შეუქო ქართველ სპორტულ ჟურნალისტებსაც. ვერ გეტყვით, რამდენად ხშირად კითხულობს ჩვენს გაზეთებს, მაგრამ მის საქებარ სიტყვებს დამაჯერებლობა ნამდვილად არ აკლდა...

მარიუს ვიზერი: „მოხარული ვარ საქართველოში ვიზიტით. დილარ ხაბულიანი და გია ნაცვლიშვილი ჩემი მეგობრები არიან. აღსანიშნავია საქართველოს ძიუდოს ფედერაციის კარგი მუშაობა. გეტყვით, რომ თქვენი ფედერაცია იაპონიისა და საფრანგეთის ფედერაციებთან ერთად მსოფლიოში ერთ-ერთი უპირველესია. მომილოცავს ოლიმპიადის შვიდი ლიცენზიაც. თქვენ იშვიათ შედეგს მიაღწიეთ. ვიცი, რომ საქართველოში ძიუდოს დიდი ყურადღება ექცევა. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრა მომიხერხა. მას სპორტზე, ეკონომიკასა და სხვა საკითხებზე უნდა ვესაუბრო. როცა თქვენთან ძიუდოს აკადემიის მშენებლობა დასრულდება, ამ ობიექტს ყველა საჭირო ნივთით მოვამარაგებთ."

ერთ-ერთმა ჟურნალისტმა კი ბატონ შანდორ სანს ჰკითხა, თქვენ ხომ „ოტო ბანკის" პრეზიდენტიც ხართ და თქვენი ბანკი საქართველოს ძიუდოს ფედერაციის სპონსორობას ხომ არ აპირებსო.

კითხვაზე სანის მაგიერ გია ნაცვლიშვილმა უპასუხა: „ბატონი სანი როგორც საპატიო პრეზიდენტი ისეა ჩამოსული. ქართულ ძიუდოს ისედაც ბევრი და მდიდარი სპონსორი ჰყავს." შანდორ სანიც დაეთანხმა გია ნაცვლიშვილს.

პრესკონფერენციის მიწურულს დილარ ხაბულიანმა ისაუბრა: „მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და მარიუს ვიზერს მსოფლიოს ფედერაციის პრეზიდენტად არჩევა მივულოცო. ბატონი ვიზერი რომ არა, მომავალ წელს საქართველოში ევროპის ჩემპიონატი არ ჩატარდებოდა."

ბოლოს ვიზერმა დილარ ხაბულიანს სპეციალური ჯილდო გადასცა.

პრესკონფერენციის შემდეგ დელეგაცია დიღომში გაემგზავრა მშენებარე ძიუდოს კომპლექსის სანახავად. სტუმრებს თბილისის მერი გიგი უგულავაც შეუერთდა. მათ ერთად მოინახულეს მშენებარე ობიექტი.

დელეგაციამ გუშინ საღამოს დატოვა საქართველო.

**ზურაბ მიგრიაული**

NBA
რეგულარული ჩემპიონატი

9 აპრილი

**ფილადელფია 101:94 დეტროიტი**
ფილადელფია: იგუდალა (25), დალემბერტი (20 ქულა, 13 მოხსნა), გრინი (15)
დეტროიტი: ბილაფსი (18), დიქსონი (13)

**ვაშინგტონი 109:95 ბოსტონი**
ვაშინგტონი: ჯემისონი (27 ქულა, 11 მოხსნა), სტივენსონი (14), ბატლერი (13 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა)
ბოსტონი: პირსი (28), გარნეტი (22 ქულა, 14 მოხსნა), ალენი (13)

**კლივლენდი 104:83 ნიუ ჯერსი**
კლივლენდი: ჯემისონი (33 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა), შჩერბიაკი (14)
ნიუ ჯერსი: კარტერი (19), ჯეფერსონი (15), ნახბარი (14)

**ორლანდო 115:83 ჩიკაგო**
ორლანდო: ჰოვარდი (30 ქულა, 14 მოხსნა), ლუისი (21)
ჩიკაგო: ჰაინრიხი (19), გორდონი (13), გრეი (13)

**ტორონტო 111:93 მილუოკი**
ტორონტო: ბოში (32 ქულა, 11 მოხსნა, 4 დაფარება), პარკერი (18)
მილუოკი: ფილანუევა (38 ქულა, 12 მოხსნა), რედი (17)

**ნიუ იორკი 109:107 შარლოტი**
ნიუ იორკი: კროუფორდი (18), ჯონსი (15), რენდოლფი (13)
შარლოტი: რიჩარდსონი (25 ქულა, 10 მოხსნა), ოკაფორი (24), ფელტონი (24)

**მინესოტა 90:122 ნიუ ორლეანი**
მინესოტა: მაკკანტსი (23), ფოი (20), იარიჩი (14)
ნიუ ორლეანი: სტოიაკოვიჩი (24), ვესტი (22), პოლი (19 ქულა, 16 პასი)

**ჰიუსტონი 103:80 სიეტლი**
ჰიუსტონი: ელსტონი (18), ნოვაკი (17), ჰედი (16)
სიეტლი: დურანტი (26), უოტსონი (16), უილკინსი (14)

**სან ანტონიო 79:96 ფინიქსი**
სან ანტონიო: დანკანი (23 ქულა, 10 მოხსნა), პარკერი (20)
ფინიქსი: სტუდემაიერი (21), ონილი (16), ნეში (12 ქულა, 10 პასი)

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი** | | | |
| *ბოსტონი* | 62 | 16 | 70,4 |
| *დეტროიტი* | 55 | 23 | 70,5 |
| *ორლანდო* | 49 | 29 | 62,8 |
| კლივლენდი | 43 | 35 | 55,1 |
| ვაშინგტონი | 41 | 37 | 52,5 |
| ფილადელფია | 40 | 38 | 51,3 |
| ტორონტო | 39 | 39 | 50,0 |
| ატლანტა | 36 | 42 | 46,2 |
| ინდიანა | 34 | 44 | 43,6 |
| ნიუ ჯერსი | 32 | 45 | 41,0 |
| ჩიკაგო | 30 | 48 | 38,5 |
| შარლოტი | 30 | 49 | 38,0 |
| მილუოკი | 26 | 52 | 33,3 |
| ნიუ იორკი | 23 | 56 | 28,2 |
| მაიამი | 14 | 64 | 17,9 |
| **დასავლეთი** | | | |
| *ნიუ ორლეანი* | 55 | 23 | 70,5 |
| სან ანტონიო | 53 | 25 | 67,9 |
| *ლეიკერსი* | 53 | 25 | 67,9 |
| *იუტა* | 52 | 26 | 66,7 |
| ჰიუსტონი | 53 | 25 | 67,9 |
| ფინიქსი | 53 | 26 | 67,1 |
| დალასი | 49 | 29 | 62,8 |
| დენვერი | 47 | 31 | 60,3 |
| გოლდენ სტეიტი | 47 | 31 | 60,3 |
| პორტლენდი | 39 | 39 | 50,0 |
| საკრამენტო | 36 | 42 | 46,2 |
| კლიპერსი | 23 | 55 | 29,5 |
| მემფისი | 21 | 57 | 26,9 |
| მინესოტა | 19 | 59 | 24,4 |
| სიეტლი | 18 | 61 | 22,8 |

*პირველ ოთხეულში გარანტირებული აქვს ადგილი სამი დივიზიონის სამ ლიდერს (აღნიშნულია დახრილი შრიფტით); მთავრული შრიფტით გამორჩეულები გავიდნენ პლეი ოფში*

# ავიამშენის პლუს-მინუსი: დაცვა და მესამე ნომერი

## ლევან მოსეშვილი ჰიკს პლეი ოფში გეგმავს

— სეზონის დასაწყისთან შედარებაც არაა — „ავიამშენი" გაცილებით მძლავრად თამაშობს და რა არის ამ წარმატების მიზეზი?

— ჩვენი მიზანიც სწორედ ეს იყო, რომ პლეი ოფის დაწყებისთვის ჩავმდგარიყავით მწყობრში. ამიტომაც იყო, პირველ-მეორე წრეებში განცდილ მარცხებზე რომ არ ვდარდობდით და ვარჯიშს ვაგრძელებდით. ამ შრომის მოსავალს ახლა ვიმკით, „ავიამშენს" ძალიან ცოტა აკლია ოპტიმალურ ფორმამდე.

— ცხადია, ფორმაში მონდომებული ვარჯიშის გარეშე ვერ შეხვიდოდით, მაგრამ ეგებ უფრო კონკრეტული მიზეზები დაგვისახელოთ...

— „ავიამშენმა" ბოლო თამაშების აბსოლუტური უმრავლესობა რომ მოიგო, ეს ჩვენი გუნდის ლიდერების მოყოჩაღებით მოხდა. კარგად ირჯება კოტე ტულუში, რომელმაც დაცვაში თამაშს საგრძნობლად. მოუმატა და თავისუფლად შეუძლია ნებისმიერი მეტოქის ლიდერის განეიტრალება. მას პერსონალურად მივუჩენ ხოლმე ჩვენთვის ყველაზე სახიფათო მოთამაშეს და კოტეც კარგად ართმევს თავს დაკისრებულ ამოცანას...

მოუმატა ირაკლი ხოშტარიამაც, მაგრამ მას კიდევ აქვს რეზერვი და დაცვაში თამაშიც ტულუშზე ცუდად როდი შეუძლია. თუ ხოშტარია სასურველ კონდიციამდე მიაღწევს, და მჯერა, რომ ასეც მოხდება, ეს უდიდესი უპირატესობა იქნება „ავიამშენისთვის". ის და ტულუში მეტოქე გუნდის ორ ლიდერს მაქსიმალურად შეზღუდავენ, რაც ნახევარი გამარჯვების ტოლფასი იქნება.

— ეს დაცვა, მაგრამ წარმატებისთვის შეტევაც არანაკლებ მნიშვნელოვანია შეტევაც...

— მართალია და ამ მხრივ პრობლემებიც გვაქვს. უკვე ორი სეზონია, მესამე ნომრის პოზიციაზე გავითვალეთ. წინა ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპზე ირაკლი კეიდია და ლაშა ლოსაბერიძე პირადი პრობლემების გამო გამოგვაკლდნენ. ახლა კი ლუკა შანიძე და ლევან მოსეშვილი დაშავდნენ, ხოლო დავით ბარბაქაძე თსუ-ში გადავიდა. ერთი სიტყვით, დღეს „ავიამშენის" ყველაზე სუსტი წერტილი მესამე ნომერია, რომელმაც წინა და უკანა ხაზები უნდა შეაკავშიროს.

— ალბათ ამიტომაც თამაშობს თქვენი გუნდი ცოტა უცნაური ხუთეულით, რომელშიც ტანმაღალი მოთამაშეები სჭარბობენ...

— მესამე ნომრად ხომ უნდა დავაყენოთ ვინმე და იძულებული ვარ, ხან უკანახაზელი გავამწესო ამ პოზიციაზე, ხანაც — რომელიმე მეფარე. უფრო ხშირად უპირატესობას მაღლებს ვანიჭებ და 3 ნომრად ხან თორნიკე ნინიაშვილს, ხანაც ვახტანგ მინაშვილს ვათამაშებ. ამას ემატება თავდამსხმელი, ცენტრი და მთლიანობაში საკმაოდ ტანმაღალი ხუთეული გამოდის. ეს ფარზე უპირატესობას კი გვაძლევს, მაგრამ სისწრაფეში ვაგებთ და გაცილებით ტანდაბალი მოთამაშეებით დაკომპლექტებული მეტოქე სწრაფ შეტევებსა და კონტრშეტევებზე ხშირად გვიჭერს. მიუხედავად ამისა, ბიჭები მაინც იგებენ თამაშებს, მაგრამ რა იქნება პლეი ოფში, ძნელი სათქმელია.

— გამოსავალს რაში ხედავთ?

— ნახსენები მოთამაშეებიდან რომელიმე უნდა მოერგოს 3 ნომრის პოზიციას. თუმცა მთავარი მაინც ისაა, როგორ ფორმაში იქნებიან გუნდის ლიდერები. ეს მომზადებაზეა დამოკიდებული. ჩვენ კი იმის საშუალება არა გვაქვს, რომ ორჯერად ვარჯიშებს სტაბილური სახე მივცეთ.

— რა გიშლით ხელს?

— იჯარით აღებული სკა-ს დარბაზის დავალიანება დაგვიგროვდა, დაფინანსება კი იგვიანებს. ის კი არა, მოთამაშეებს კარგა ხანია, ხელფასები არ აუღიათ და ასეთ ვითარებაში ძნელია, მათ ორჯერადი ვარჯიშები მოსთხოვო.

— რამდენად სერიოზულია ეს კრიზისი?

— როგორც იცით, ჩვენ საავიაციო ქარხნის ბიუჯეტზე ვართ, რომელსაც ახლა მთლად დალხენილად არ აქვს საქმე. თავად ქარხნის პერსონალსაც არ აუღია ხელფასები და, შესაბამისად, ჩვენც ასეთ დღეში ვართ. თუმც, ვიმედოვნებთ, რომ ყველაფერი მალე გამოსწორდება. ქარხნის დირექტორის, ბატონი პატიკო თორდიას იმედი გვაქვს.

— პლეი ოფი მოახლოვდა და შანსებზე რას იტყოდით?

— რა ვთქვა, ისედაც ცხადია, რომ დაძაბული მატჩები იქნება. ოთხ გუნდს — „ენერჯი-ინვესტს", „ვითას", თსუ-ს და ჩვენ — ჩემპიონობის მეტ-ნაკლებად თანაბარი შანსები გვაქვს, თუმცა რუსთაველები მაინც გამოირჩევიან. „ენერჯი-ინვესტს" რაღაცნაირად მოჰყვება ძლიერი აურა, თითქოს აუცილებლად ჩემპიონი უნდა გახდეს, მაგრამ...

— მაგრამ?

— დათმობას არ ვაპირებთ.

— კვირას სწორედ „ენერჯი-ინვესტს" ხვდებით...

— თუ მოვიგებთ, რეგულარულ ჩემპიონატში დარჩენილ ბოლო წრეში ალბათ ექსპერიმენტული, გადახალისებული შემადგენლობით ვითამაშებთ. მინდა, სათადარიგოებმა სათამაშო პრაქტიკა შეიძინონ და პლეი ოფში გუნდის ლიდერებს გვერდში თუ ვერ ამოუდგებიან, ცოტა ხნით დაასვენონ მაინც.

**ირაკლი პერტაია**

ზეგ, სუპერლიგის 25-ე ტურში, ერთმანეთს ლიდერები, „ენერჯი-ინვესტი" და „ავიამშენი" შეხვდებიან. რუსთაველები საკმარისი ფორით არიან პირველ ადგილზე და „ავიატორები" მათ დაწევას არც ცდილობენ, თუმც ლევან მოსეშვილის გუნდმა ახალი წლის შემდეგ გვარიანი პროგრესი განიცადა და ამ მატჩშიც შანსები თანაბარია.

გუშინ მოსეშვილს რომ შევეხმიანეთ, ამ კონკრეტულ მატჩზე კი არა, მისი გუნდის ბოლოდროინდელ წარმატებებსა და სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ...



[illegible] ფოტო

# ევროლიგა

## მეოთხედფინალი. 9 აპრილი

# ცსკა-მ და ტაუმ მადრიდი შეუკვეთეს



**ცსკა 81:56 ოლიმპიაკოსი**
ცსკა: შიშკაუსკასი (24), სმოდიში (14)
ოლიმპიაკოსი: ვასილოპულოსი (17), ცაკალიდისი (9)

**ტაუ 85:68 პარტიზანი**
ტაუ: მიქაელი (19), სპლიტერი (18)
პარტიზანი: ტრიპკოვიჩი (16), ველიჩკოვიჩი (14)

**მადრიდში** გასამართი ოთხთა ფინალის სამი მონაწილე ცნობილია — წინა კვირაში მეოთხედფინალური სერიის მშრალად მომგებ „სიენას" გუშინწინ მოსკოვის ცსკა და ბასკური „ტაუ" შეუერთდნენ, ხოლო მეოთხე იღბლიანის ვინაობა წუხელ გვიან გამოვლინდებოდა „მაკაბისა" და „ბარსელონას" ორთაბრძოლაში.

შეგახსენებთ, რომ ევროლიგის მეოთხედფინალური სერია ორ მოგებამდეა და ხსენებულ წყვილებში მესამე მატჩის გამართვა გახდა საჭირო. სერიის პირველი ჯახის „ოლიმპიკოსთან" შინ წაგებისა და გამოუვალ სიტუაციაში ჩავარდნის შემდეგ ევროლიგის მარადმა ფავორიტმა ცსკა-მ ლამის შეუძლებელი შეძლო. ჯერ იყო და, არმიელებმა საბერძნეთში დრამატულ ბრძოლაში იმარჯვეს, ანგარიში გაათანაბრეს, გუშინწინ კი სერიის მესამე, გადამწყვეტი შეხვედრა შინ მოიგეს და ოთხთა ფინალის საგზური მიჯრით მეექვსედ მოიპოვეს.

„ჩვენ დიდი ნებისყოფა გამოვამჟღავნეთ — აღნიშნა ცსკა-ს იტალიელმა დამრიგებელმა ეტორე მესინამ — სერიის პირველი მატჩის წაგების შემდეგ „ოლიმპიაკოსს" ურთულესი ბრძოლა მოვუგეთ სტუმრად. ხოლო დღეს ყველაფერი ჩვენს ხელში იყო. მეტოქის ზეწოლას გავუძლით და დაცვაში მჭიდრო თამაშით შემტევებს ხელ-ფეხი გავუხსენით. ოთხთა ფინალში ზედიზედ მეექვსედ გასვლა მოსკოვური გუნდის უდიდესი წარმატებაა და მჯერა, რომ ეს სასიამოვნო ტრადიცია გაგრძელდება. თუმც მხოლოდ ფინალში გასვლით როდი დავკმაყოფილდებით. მადრიდში ცსკა გამარჯვებას შეეცდება, რის იმედსაც ჩვენი ბიჭების თავდადებული თამაში მაძლევს. არ შემიძლია, მადლობა არ ვუთხრა ჩვენს ქომაგებს, რომელთა მხარდაჭერასაც ყოველ წამს ვგრძნობდი".

არმიელებს თავიდან სულ რამდენიმე წუთით გაუჭირდათ, სანამ ბერძნების სათამაშო სტილს ალღოს აუღებდნენ, მერე კი მიჰყვნენ და სულ უპრობლემოდ ჩაითამაშეს მატჩის დარჩენილი დრო. ბოლო მეოთხედი მოსკოველებმა სულაც 20:6 მოიგეს, რითაც ყველას დაუმტკიცეს, რომ „ოლიმპიაკოსის" პირველ შეხვედრაში გამარჯვება შემთხვევითობა იყო.

„ოლიმპიაკოსს" ჯალათად ლიტველი რამუნას შიშკაუსკასი და სლოვენიელი მატიაჟ სმოდიში მოევლინნენ. პირველმა 6 ცდიდან 5 სამქულიანი ჩააგდო და საბოლოოდ სტუმრებს 24 ქულა დაასეტყვა, ხოლო სმოდიში სამწამიანში გაბატონებულიყო და ჩანასახშივე ლაგმავდა მეტოქის უმნიშვნელო გაფაჩუნებასაც კი.

მეორე მეოთხედფინალური მატჩიც თითქმის ანალოგიური სცენარით წარიმართა. „ტაუმ" „პარტიზანთან" საწყისი მეოთხედი დათმო, თუმცა მერე ტიაგო სპლიტერმა აუშვა აფრები და სერბებს შანსი აღარ დაუტოვა.

ბასკთა ბრაზილიელმა ლეგიონერმა ტიაგო სპლიტერმა „პარტიზანების" ფარქვეშ გაიდგა ფეხი და ბურთს ხომ არ აცილებდა და იმდენი ქნა, რო! ბელგრადელთა ერთ-ერთი ლიდერი ნიკოლა პეკოვიჩი 5 პერსონალურის გამო მოედნიდან გააგდო. ეს მესამე მეოთხედში მოხდა, როცა სერბებს ჯერ კიდევ ჰქონდათ თამაშის გადარჩენის იმედი, თუმც პეკოვიჩის სათადარიგოებში გადანაცვლების შემდეგ სტუმრების საქმე საბოლოოდ მოთავდა.

„ჩვენი გუნდი ევროლიგის ოთხთა ფინალში მიჯრით მეოთხედ გავიდა და ეს უკვე ბევრს ნიშნავს — თქვა „ტაუს" თავკაცმა ნევენ სპაჰიამ — „პარტიზანის" დამარცხება იოლი არ ყოფილა და ძალიან გახარებული ვარ, რომ ეს ბარიერი წარმატებით დავძლიეთ. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ არის ჩვენი მეტოქე ნახევარფინალში. „ტაუ" მხოლოდ მოსაგებად იბრძოლებს".

ბასკების სანახევარფინალო მეტოქე უკვე ცნობილია — „ტაუს" ცსკა დაუპირისპირდება. მადრიდში ყველაფერს ერთმატჩიანი ჯახები გადაწყვეტს: ჯერ ნახევარფინალები გაიმართება, მერე კი — საჩემპიონო მატჩი.

**ირაკლი პერტაია**

# უკან დარჩა საფრანგეთი

## ქართველი ჭაბუკები ჩილეში მსოფლიოს ნახავენ

**გუშინ** საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები საფრანგეთიდან ჩილეში ჩაფრინდა, სადაც 15 აპრილს დასაწყებ მსოფლიოს თასზე ითამაშებს.

საფრანგეთში, კონკრეტულად კი „კლერმონის“ საწვრთნელ ბაზაზე ჩვენი 20-წლამდელები სწორედ საამტურნიროდ ემზადებოდნენ და თორმეტდღიანი შეკრება გაიარეს. საქართველოს ნაკრებმა ორი სპარინგიც გამართა „კლერმონის“ 21-წლამდელთა გუნდთან, თუმც ფრანგებმა ორივე მატჩში 23-წლამდელი (ესპუარები) მორაგბეებიც დაიმატეს.

პირველი სპარინგი ქართველებმა საფრანგეთში ჩასვლიდან მეორე დღეს გამართეს და ნამგზავრზე 0:20 წააგეს. შეკრების ბოლო დღეს კი ჩვენებმა ძირითადი შემადგენლობით მოთამაშე და ექვსი ესპუარშემატებულ კლერმონელებს 48:21 მოუგეს. ექვსი ლელო ვატო კოლელიშვილმა, არჩილ კობაურმა, ჯაბა კიკვიძემ, გოდერძი ჯოგლიძემ, მიხეილ წიკლაურმა და გიორგი როხვაძემ გაიტანეს. გარდასახვა-საჯარიმოები კი ლაშა ხმალაძის ანგარიშზეა. ახალგაზრდა „ლელოებმა“ ბოლო საკონტროლო მატჩი შემდეგი შემადგენლობით ითამაშეს და მწვრთნელებიც ნიკო ჭავჭავაძე და ლევან მაისაშვილი ჩილეში ამ ბირთვს დაეყრდნობიან:



(15-1) კავთიძე, წიკლაური, ინაშვილი, ნუცუბიძე, კიკვიძე; ხმალაძე, ჭინჭარაული; კოლელიშვილი, ჩიჩუა, კობაური, ჩოჩიშვილი, იორდანაშვილი, კაკოვინი, სხულუხია, მირცხულავა.

როგორც საქართველოს რაგბის კავშირში გვითხრეს, თავიდან ქართველებს ორი ლელო გაუშვიათ, თუმც მერე დაცვაში თამაში დაალაგეს და შეტევებიც გამოუვიდათ. ქართველებს, ძირითადად, შერკინებაში დაუბრიყვებიათ ფრანგები და ერთიერთზე ბრძოლაც საჩვენოდ მთავრდებოდა. შეკრებაზე ტრავმა მიიღეს ვახტანგ მძინარაშვილმა, დავით ჩიჩუამ და ვიტო კოლელიშვილმა, თუმც საშიში არაფერია და ჩილეში სამივე ითამაშებს.

მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრები ქვემო, B დივიზიონში ითამაშებს, რომლის [illegible] გაისად ელიტარულ დივიზიონში დაწინაურდება. მსოფლიოს ჩემპიონად სწორედ ელიტ-დივიზიონის სეფეგუნდი ცხადდება. კენჭისყრით ჩვენები B ჯგუფში მოხვდნენ ურუგვაის, სამხრეთ კორეის და იამაიკის ნაკრებებთან ერთად. A ჯგუფი კი მასპინძელმა ჩილემ, რუმინეთმა, ნამიბიამ და კუკის კუნძულებმა შეადგინეს. ჯგუფების გამარჯვებულები ერთმანეთს პირდაპირ ფინალში შეხვდებიან და მოგებული, როგორც ვთქვით, ელიტაში დაწინაურდება, დანარჩენები კი დარჩენილ ადგილებს გაითამაშებენ.

ტურნირის ფორმატით გუნდებს მოგებისთვის 4 ქულა დაერიცხებათ, ფრეზე 2 ქულა, 4 ლელოს გამტანი და 7-ზე ნაკლები ქულით წამგები გუნდიც ერთ პრემიალურ ქულას მიიღებს.

**ბაჩო სვანიძე**

**საქართველოს ნაკრების განრიგი**

15 აპრილი
საქართველო — იამაიკა
19 აპრილი
საქართველო — კორეა
23 აპრილი
საქართველო ურუგვაი
29 აპრილი
პლეი ოფები



### პლეი ოფი. პირველი წრე

# უმადური მომხვდურები

## მასპინძლებს ყვანჯი მოედანზე მიეყინათ

გუშინ ნჰლ-ში პლეი ოფი დაიწყო და პირველივე თამაშებმა ნათლად დაგვანახვეს, რომ ძალიან თანაბარი სერიების ხილვა მოგვიწევს, რომლებშიც ფავორიტის დასახელება დროის უქმად კარგვა იქნება — ასე განსაჯეთ, პირველი ოთხი მატჩიდან მხოლოდ ერთმა გუნდმა ისარგებლა საკუთარი ყინულის უპირატესობით, დანარჩენ სამ შეხვედრაში სტუმრებმა იხეირეს. ეს კი იმას მიუთითებს, რომ იოლი გამარჯვების იმედი არავის არ უნდა ჰქონდეს და ყველა წყვილში ძალიან უკომპრომისო ბრძოლა გაჩაღდება

**ნიუ ჯერსი 1:4 რეინჯერსი**
*0:0 1:1 0:3*
0:1 შენაჰანი (22), 1:1 მარტინი (35), 1:2 კალაჰანი (48), 1:3 ეივერი (58), 1:4 დეივსი (60)

ამ სერიის დაწყების წინ ყველა ერთხმად ამბობდა, „ნიუ ჯერსის“ წარმატების შანსი მხოლოდ მარტინ ბროდოს ძლიერი თამაშის შემთხვევაში ექნებაო. თუმც გუშინ ის უიშვიათესი შემთხვევა იყო, როცა ეს სუპერკიპერი თავისი გუნდის წაგების მიზეზად იქცა. ბროდო „რეინჯერსის“ პირველი გოლის დროსაც შეცდა, როცა ბრენდან შენაჰანის საკმაოდ იოლ დარტყმას ვერაფერი მოუხერხა, ხოლო სტუმართა გამარჯვების შაიბა სულაც პირადად მეკარის სინდისზეა — მესამე პერიოდში ბროდომ ძალიან უხერხულად მოიგერია შაიბა და ამით ახალბედა რაიან კალაჰანს მისი კარის დალაშქვრის საშუალება მისცა.

„სკოტ გომესი მედგა წინ და აქცენტი მასზე გადავიტანე, რის გამოც დარტყმულზე რეაგირება დავაგვიანე — ასეთი რამ არ მჩვევია და ამიტომ ბოდიშს ვუხდი პარტნიორებს“ — მოინანია ნამატჩევს ბროდომ.

ექსნიუჯერსელმა და წლეულს მანჰეტენზე გადაბარგებულმა გომესმა კი, რომლესაც მთელი შეხვედრის განმავლობაში მაყურებელი შეუჩერბლად უსტვენდა, ყოფილი პარტნიორები არ დაინდო და თავის ახალ გუნდს სამი შედეგიანი გადაცემით შეეწია

**პიტსბურგი 4:0 ოტავა**
*2:0 0:0 2:0*
1:0 რობერტსი (2), 2:0 სიკორა (14), 3:0 მალკინი (54), 4:0 რობერტსი (59)

„პიტსბურგი“ ისედაც მიიჩნეოდა ამ სერიის უდავო ფავორიტად, მაგრამ მაინც ძნელი წარმსადგენი იყო, რომ ერთ დროს გოროზი „ოტავისგან“ მასპინძლები ქვას ქვაზე არ დატოვებდნენ.

ასეა თუ ისე, „პინგვინებმა“ შანშანდელ პლეი ოფში დამარცხებისთვის შურის ძიება დაიწყეს და საეჭვოა, მხოლოდ ამაზე გაჩერდნენ. დიდებული იყო მასპინძელთა ახალგაზრდა კიპერი მარკ-ანდრე ფლერი, რომელმაც პლეი ოფში პირველი შატაუტი ჩაიწერა აქტივში. მის გარდა გამოირჩა 41 წლის ვეტერანი გერი რობერტსი — იანვარში ფეხის მოტეხვის შემდეგ გამოცდილმა თავდასხმელმა ლაზარეთი მხოლოდ რეგულარული ჩემპიონატის ბოლო შეხვედრის წინ დატოვა, მაგრამ ეტყობა უფორმობას მაინც არ უჩივის და აკი დუბლიც მიითვალა.

„ოტავას“ კი რადგან თამაში არ გამოუვიდა, მუშტებზე გადავიდა და „პიტსბურგის“ ლიდერებს დაერია. თუმც სტუმრები აქაც დაიჩაგრნენ, ხოლო როცა ერთ მომენტში „სენატორთა“ მცველმა უეიდ რედენმა სიდნი კროსბიზე გაიწია, თავის კაპიტანს რაიან უიტნი გამოექომაგა და რედენი გვარიანადაც დაალილავა.

**მინესოტა 2:3 კოლორადო**
*0:0 0:2 2:0 0:1*
0:1 საუერი (22), 0:2 სმიტი (34), 1:2 კოივუ (44), 2:2 ფედორუკი (47), 2:3 საკიკი (72)

წლევანდელი პლეი ოფის პირველი ოვერტაიმი მინესოტაში ვიხილეთ, სადაც უფრო გამოცდილმა „კოლორადომ“ ყინულის უპირატესობა აართვა ადგილობრივ „ველურებს“ — მეოთხე პერიოდის მე-12 წუთზე კაპიტანმა ჯო საკიკმა ყვანჯი კარგად დაუხვედრა პარტნიორის გასროლილს და თავისი გუნდი სერიაში დააწინაურა. საკიკისთვის ეს პლეი ოფში გატანილი მე-8 ოვერტაიმული შაიბა გახლდათ, რაც ნჰლ-ის ყველა დროის რეკორდია.




ჯო საკიკი

ისე, „კოლორადოს“ საქმე აქამდე არ უნდა მიეყვანა, რადაგან მესამე პერიოდში ჯერ ორშაიბიანი უპირატესობა გაატანა ქარს, შემდეგ კი რამდენიმე კარგი მომენტი ვერ გამოიყენა — ჯერ დევიდ ჯონსს შაიბა არ ჩაუთვალეს — ფეხით გაიტანა და იმიტომ. შემდეგ მილან ჰეიდუკმა ძელს მოარტყა, ბოლოს კი რაიან სმიტმა ბულიტი ააცილა.

„ჯოს ვალი მაქვს და ერთი სადილი ჩემზეა. ამდენი მომენტის გამოუყენებლობა არ შეიძლება და კიდევ კარგი, კაპიტანმა გვიხსნა“ — საკიკს ემადლეირებოდა სმიტი ნამატჩევს.

**სან ხოსე 2:3 კალგარი**
*1:2 0:1 1:0*
0:1 იელი (3), 0:2 პანიოფი (6), 1:2 კლოუი (7), 1:3 იელი( 37), 2:3 კლოუი (60)

პლეი ოფის პრევიუში ალვნიშნეთ და ახლაც გავიმეორებთ, რომ ამ წყვილში გადამწყვეტ როლს მეკარეები ითამაშებენ. ჰოდა, პირველი რაუნდი მიკა კიპრუსოფმა პირწმინდად მოუგო ევგენი ნაბოკოვს. ფინელმა კარის დარაჯმა სასწაულები აკეთა, რომ „კალგარის“ მატჩის დასაწყისში მოპოვებული უპირატესობა შეენარჩუნებინა — „სან ხოსეს“ ვარსკვალვები კი ნამატჩევს მხოლოდ დაბნეულად იჩეჩდნენ მხრებს და მხოლოდ იმასღა იძახდნენ, კიპრუსოფი ასე რომ თამაშობს, ძნელია, რაიმე მოუხერხოო.

ფინელის გარდა თავი სტეფან იელმაც გამოიჩინა, რომელმაც პლეი ოფში პირველად შეასრულა დუბლი, „ალებმა“ კი ბოლო დროს გაყოყოჩებული კალიფორნიელები ციდან მიწაზე დააბრუნეს.

**ბახა ლომაშვილი**



# პარიზი აფრიკელებმა დაიკავეს

**ყველაზე** სწრაფები არა და, ყველაზე გამძლე მორბენლები კი სადღაც აღმოსავლეთ აფრიკის სავანებში რომ იბადებიან, ამ აზრს მსოფლიო დიდი ხნის წინ შეეგუა და საპრეტენზიოც ბევრს არ აქვს. ამიტომ არავის არ გაჰკვირვებია, მსოფლიოს ერთ-ერთმა უპრესტიჟულესმა, პარიზის მარათონმა სწორედ კენიელთა და ეთიოპიელთა სრული უპირეტესობით ჩაირბინა.

გარბენი, რომელშიც 29 ათასზე მეტი პროფესიონალი თუ მოყვარული მძლეოსანი მონაწილეობდა, საკმაოდ სწრაფი და დამაინტრიგებელი გამოვიდა. პარიზის ქუჩებში 200 ათასი მაყურებელი გამოეფინა, მიუხედავად იმისა, რომ აპრილის საფრანგეთისთვის შეუფერებლად ციოდა — მხოლოდ 5 გრადუსი სითბო იდგა. და როგორც აღმოჩნდა, სწორედ ამსი გამოც პარიზის მარათონი ყველა დროის ერთ-ერთი უსწრაფესი გამოვიდა. მსოფლიო რეკორდი არ განახლებულა, იმ დღეს სულ სხვაგან მყოფ ეთიოპიელ ჰაილე გებრსელსიეს შერჩა თავისი უნიკალური შედეგი. ახლა გამარჯვებულმა სეზონის „მხოლოდ" მეორე შედეგი აჩვენა, მაგრამ, სამაგიეროდ ერთბაშად თორმეტმა მარათონელმა ჩატია 42,195-კილომეტრიანი დისტანცია 2 საათსა და 10 წუთში და ეს ორი კაცით აღემატება ძველ რეკორდს. ისე, ზემოთ ნათქვამის გასამყარებლად ვთქვათ, რომ ამ 12 კაციდან 9 კენიელია და 2 ეთიოპი, ამხელა ევრაზიიდან საუკეთესო კი მასპინძელი ფილიპ მუნიტუ იყო, ვინაც თავისი მეთერთმეტე ადგილით ასე თუ ისე პრესტიჟი შეუნარჩუნა სამშობლოს, კონტინენტს და თეთრკანიანთა რასას.

გარბენი კი ეთიოპიელმა ტეგაი კებედემ მოიგო, ვინაც სულ რაღაც 20 წლისაა და ეს მისთვის მხოლოდ მესამე მარათონი გახლავთ. 2 საათი, 6 წუთი და 40 წამი მშვენიერი შედეგია დამწყები მორბენლისთვის, ამიერიდან მას ყველა ანგარიშს გაუწევს. მეორე ადგილი კენიელმა მოზეს კიმელი არუსეიმ (2:06.50) დაიკავა და მესამეც კენიელი ჯოზი როტიჩი (2:07.24) გახლდათ.

აფრიკელებმა არც ქალთა შორის გაირიეს. ევროპელთა შორის საუკეთესო, უკრაინელი ტანია ფილონილი მხოლოდ მეექვსე იყო, პოდიუმი კი კენიელ-ეთიოპიელებმა შეავსეს. 2:25.33 შედეგით კენიელმა მართა კომუმ იმარჯვა.

**ივანე ქობიაშვილი**

# პაუელი ოლიმპიადას ერგება

**კარგად** უწყით, 2008 წელი ოლიმპიურია და პეკინისთვის გამზადებულ სპორტსმენთა დიდი წილი სეზონის კალენდარს ისე ადგენს, რომ ოთხწლეულის უდიდესი სპორტული ფორუმისთვის შევიდეს ფორმაში.

მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერმა და რეკორდსმენმა ასაფა პაუელმაც ისე შეადგინა გეგმა, რომ ოლიმპიადას საუკეთესო ფორმაში შეხვდეს და გარანტირებული ოქროს მედალი დაგეგმოს 100 მეტრზე სპრინტში. თქმაც არ უნდა, ის მსოფლიოს უსწრაფესი მორბენალია, 100 მეტრის 9,74 წამში დაფარვა მის საქმეში საუკეთესოთა შორის საუკეთესოებსაც მხოლოდ ყველაზე თამამ ოცნებად აქვთ. მაგრამ შარშან შემოდგომაზე იაპონურ ოსაკაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ფეხმალმა იამაიკელმა ვერ შეძლო ისე სირბილი, როგორც მთელი 2007 წლის სეზონი დარბოდა და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც დაკარგა.



ახლა პაუელი ვეღარ დაუშვებს, რომ ოლიმპიადაზეც იგივე შეემთხვეს და მრავალ სარფიან გარბენაში მონაწილეობაზე განაცხადა უარი. ერთ-ერთი იშვიათი ტურნირი, რომელზეც რეკორდსმენი ირბენს, 6 ივნისს ოსლოში გასამართი შეჯიბრია, რომელიც ოქროს ლიგის ექვსი ეტაპიდან მეორეა. არაოლიმპიურ სეზონში პაუელი ნამდვილად არ იტყოდა უარს ლიგის ოქროებზე და თუ ტრავმა არ შეემთხვეოდა, ექვსი ეტაპიდან სულ ცოტა ოთხ-ხუთზე მაინც გაიმარჯვებდა, მაგრამ ახლა სხვა დროა — ასაფა უკვე 25 წლისაა და დროა, რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი მოიგოს.

**ივანე ქობიაშვილი**



# პარასკევლავები და მებრძოლები

## დევისის თასს რჩეულებიღა შერჩნენ

**დღეს** დაიწყება და მთელ უქმეებს გასტანს დევისის თასის მეოთხედფინალები. უნდა ითქვას, რომ ოთხივე წყვილში ძალიან დაძაბული ჯახია მოსალოდნელი და ამის გამო გამოკვეთილ ფავორიტებსა და აუტსაიდერებზე საუბარი მაინც ნაკლებად ღირს.

დიდი ჩეხვაა მოსალოდნელი გერმანიასა და ესპანეთის შეხვედრაში. ჩილესთან თამაშზე უარის შემდეგ პირინეელებს ლიდერი რაფაელ ნადალი უბრუნდებათ, რომელიც მშვენიერ ფორმაშია და მოტივაციაც არ აკლია — აკი განაცხადა კიდეც, წლეულს ფინალში უნდა ვითამაშოთო. გერმანელები კი იმის იმედზე არიან, რომ ეგებ სტუმრად მოჩოგნავე ესპანელებს მათთვის საძულველ მაგარ საფარზე თამაში არ წაუვიდეთ, თორემ შემადგენლობის მხრივ მასპინძლები ოდნავადაც ვერ შეედრებიან მომხვდურებს, მით უმეტეს, რომ წამყვან მეჩოგნის ტომი ჰაასის გარეშე მოუწევთ თამაში. თუმც გერმანელებს ნაადრევად ფარხმალის დაყრა არასოდეს სჩვეოდათ და ამიტომ ნიკლას კიფერი და ფილიპ კოლშრაიბერი ნადალსა და კომპანიას ბლომად უსიამოვნებებს ჰპირდებიან.

კარგ განწყობაზე ხვდებიან ჩეხებთან დაპირისპირებას რუსები — შამილ ტარპიშევმა ყველა ლიდერს უხმო და იმდენად კარგად აქვს საქმე, რომ თავს უფლება მისცა, პარასკევს თამაშისგან გაეთავისუფლებინა ერთი კვირის წინ კიბისკეინის მასტერსის მომგები ნიკოლაი დავიდენკო. ჩეხებს ტომაშ ბერდიხისა და რადეკ შტეპანეკის სახით არცთუ ურიგო მეჩოგნეები ჰყავთ, მაგრამ საეჭვოა, მათ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიონ მასპინძლებს, მით უმეტეს, რომ რუსებმა გრუნტზე თამაში არჩიეს.

ფავორიტის რანგში ხვდება მეოთხედფინალს არგენტინაც, რომელიც ბუენოს აირესში შვედეთს მიიღებს. ვეტერან სკანდინავიელებს მაგრად გაუჭირდებათ 10 000 გიჟმაჟი პატაგონიელი გულშემატკივრის მხარდაჭერით გახელებული დავიდ ნალბანიანისა და გილერმო კანასის გაკავება.

ყველაზე დაძაბული კი მოქმედ ჩემპიონ აშშ-სა და საფრანგეთის ჯახი უნდა გამოდგეს. პატრიკ მაკინროიმ ისევ შეკრიბა თავისი საუკეთესო შემადგენლობა — ენდი როდიკი, ჯეიმს ბლეიკი და ტყუპი ძმები ბობ და მაიკ ბრაიანები გამალებით ემზადებიან გალთა დასახვედრად. იანკები პირდაპირ ამბობენ, ტიტულის დათმობას არ ვაპირებთ, ჯერ ფრანგებს მოვუვლით და მერე არც სხვას დავინდობთო. თუმც იმედიანად არის გალთა კაპიტანი გი ფორჟეც, რომელსაც კარგა ხანია ასეთი ძლიერი ნაკრები არ ჰყოლია — მას განსაკუთრებით რიშარ გასკესა და ჟო-ვილფრედ ცონგასი ეიმედება.

**კახა ლომაშვილი**



ჩემპიონ ამერიკასთან საფრანგეთს ჟო ვილფრედ ცონგასა და რიშარ გასკეს იმედი აქვს

**ქალები**

ამელია აილენდი. აშშ. თიხნარი. საპრიზო 600 000 $

**მეორე წრე**

**მარია შარაპოვა** (1, რუსეთი) — ანაბელ მედინა-გარიგესი (16, ესპანეთი) 6:1 6:3; **ალონა ბონდარენკო** (10, უკრაინა) — კაროლინ ვოზნიაკი (დანია) 6:3 3:6 6:3; **დინარა საფინა** (8, რუსეთი) — ტატიანა პერებინისი (უკრაინა) 6:3 6:3; **კაროლინ შპრემი** (ხორვატია) — დანიელა ჰანტუხოვა (3, სლოვაკეთი) 6:3 1:6 6:3; **ლინდსი დევენპორტი** (18, აშშ) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:1 6:4; **კატარინა სრებოტნიკი** (12, სლოვენია) — ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) 6:2 6:4; **აგნეს სავაი** (8, უნგრეთი) — ეკატერინა მაკაროვა (რუსეთი) 6:4 6:1; **ელენა ვესნინა** (რუსეთი) — პატი შნიდერი (შვეიცარია) 6:2 2:6 6:2; **ალიზ კორნე** (საფრანგეთი) — სიბილ ბამერი (9, ავსტრია) 6:1 6:3; **ვირჟინი რაზანო** (13, საფრანგეთი) — მარტა დომაჩოვსკა (პოლონეთი) 6:3 2:6 7:6; **ოლგა გოვორცოვა** (ბელარუსი) — მარიონ ბარტოლი 4, (საფრანგეთი) 4:6 6:2 6:4; **აგნეშკა რადვანსკა** (7, პოლონეთი) — გიზელა დულკო (არგენტინა) 6:2 1:6 7:6; **ამელი მორესმო** (11, საფრანგეთი) — სორანა კირსტეა (რუმინეთი) 7:5 6:1; **დომინიკა ციბულკოვა** სლოვაკეთი) — ვიქტორია აზარენკა (14, ბელარუსი) 7:5 4:6 6:2; **ანა ჩაკვეტაძე** (2, რუსეთი) — აიუმი მორიტა (იაპონია) 6:3 6:1


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge


სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00